ეროვნული ბიბლიოთეკა

**პრეზიდენტი**

## 10 იანვარს ნინოწმინდის საბადოზე ახალი ჭაბურღილის ბურღვას იწყებენ



ნავთობის კომპანია „კანარგო ენერჯი“ ქართველ პარტნიორებთან ერთად ვარაუდობს, რომ ნინოწმინდის გაზის საბადოებში საშუალოდ 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზია. 10 იანვარს დაიწყებენ ცარცული ქანების ბურღვას.

ეს სასიამოვნო ინფორმაცია გაცნო 9 იანვარს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს „კანარგო ენერჯის“ პრეზიდენტმა დევიდ რობსონმა, რომელიც მორიგ ვიზიტად იმყოფება თბილისში.

„შესაძლოა, ეს ქართული გაზის მოპოვების საქმეში ახალი ერის დასაწყისი იყოს,“ – განაცხადა შეხვედრაზე სააქციო საზოგადოების „საქნავთობის“ ხელმძღვანელმა რევაზ თევზაძემ, რომელიც პარტნიორებთან ერთად ეწვია საქართველოს პრეზიდენტს, რათა კომპანიის მიერ 2000 წელს გაწეული მუშაობის შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრათ.

იხ. მე-2 გვ.

**სახელმწიფო მინისტრი**

## ეკონომიკური თანამშრომლობა – ახალ საუკუნეში ურთიერთობის პრიორიტეტი



– თურქეთისა და საქართველოს ახალ, კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ჩაუყარეს საფუძველი. ეს ურთიერთობა დროთა განმავლობაში ახალ მართულებასა და საკმაოდ დიდ სამომავლო პერსპექტივას იძენს, – განაცხადა 9 იანვარს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრთან აბდულჰალუქ მეჰმედ ჩაისთან შეხვედრისას. გიორგი არსენიშვილმა შეხვედრაზე მიმოიხილა ის კონკრეტული პროექტები, რომლებიც ამჟამად საქართველოსა და თურქეთის მონაწილეობით ხორციელდება. როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, 21-ე საუკუნეში საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობას.

იხ. მე-2 გვ.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

**სამ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 4780 მკითხველი. მათ შორის, 55% აშშ-დან, 32% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №7 (3748) ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

**თაობა**

## საქართველოს ხვალინდელი დღე



მართლაც სიმბოლური და მრავლისმთქმელი იყო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 9 იანვარს გამართული საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა 2000 წლის პრეზიდენტის სტიპენდიატებთან. აქ შეიკრიბნენ ახალგაზრდა მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, ლიტერატორები, სპორტსმენები, ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა, მისი იმედი და მომავალია.

იხ. მე-2 გვ.

**ინფორმაცია**

## ისევ „ნულოვანი ვარიანტის“ შესახებ

9 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში საქართველოს ეკონომიკის საბჭომ და უნივერსიტეტთან არსებულმა ეკონომიკური განათლების საკოორდინაციო საბჭომ გამართეს ერთობლივი სხდომა, რომელსაც, აგრეთვე, ესწრებოდნენ სამინისტროებისა და პარლამენტის წარმომადგენლები.

სხდომაზე განიხილეს რუსეთის ვალებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს „ნულოვან ვარიანტს“.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის პრორექტორმა ავთანდილ სილაგაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვლადიმერ პაპავამ. კამათში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ვანო ჩხარტიშვილმა და სხვებმა.

სხდომაზე გამოითქვა აწონილ-დაწონილი და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ვარიანტის“ თაობაზე. საბოლოო ანგარიშით დაასკვნეს, რომ უნდა შეიქმნას საიმისო პირობები, რათა საქართველოში გაგრძელდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა.

საქინფორმი.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 6 იანვარი ქ. თბილისი

**ი. წულუკიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის შესწავლასა და მინერალური წყლების საბადოების საექსპლუატაციო მარაგების გამოთვლაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიის, საინჟინრო-გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს უფროსი, საქართველოს დამსახურებული გეოლოგი **ივერი წულუკიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

**შევეწიოთ!**

## სამების ტაძრის მშენებლობა გრძელდება



ელიას მთაზე გრძელდება სამების ტაძრის მშენებლობა, რისთვისაც თბილისის მერიამ ორი წლის განმავლობაში 850 ათასი ლარი გაიღო.

წლის ბიუჯეტში კვლავ გაითვალისწინებენ გარკვეულ თანხას.

საქინფორმი.

**ბიუჯეტი**

## დივიდენდები – მთელი წლის მანძილზე

ხელშეკრულება, რომელიც შარმან, წლის მიწურულს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას (სნსკ) შორის დაიდო, ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის დივიდენდების გადაცემას მთელი წლის მანძილზე. ეს არის სრულიად ახალი მექანიზმი, – განაცხადეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას ამ უწყებათა ხელმძღვანელებმა ზურაბ ნოღაიდელმა და გიორგი ჭანტურიამ.

მათი თქმით, ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს უაღრესად მავნე პრაქტიკას, როცა ესა თუ ის იურიდიული პირი სახელმწიფოსთან ფინანსურ ანგარიშსწორებას მხოლოდ წლის დამთავრებისა და შედეგების შეჯამებისას ახორციელებდა. რა დასამალია და, ეს პრაქტიკა დიდ უხერხულობებს უქმნიდა არა მარტო ბიუჯეტს, არამედ შემოსავლების მოძრაობასა და ხარჯვაზე კონტროლსაც. – ამიერიდან, – აცხადებს ფინანსთა მინისტრი, – ურთიერთობა გვექნება იმათთან, ვინც ითანამშრომლებს ბიუჯეტთან.

იხ. მე-2 გვ.

**ცხელი წერტილი**

## ვინ ურღვევს პანკისის ხეობის მოსახლეობას სიმშვიდეს?..

ქართველებისა და ქისტების ურთიერთობა უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გადმოსულა ქისტთა პირველი ნაკადი, რომლებიც თავად ჩოლოყაშვილს დაუსახლებია პანკისის ხეობაში, სოფელი დუისი დაუარსებია...

ამ ადგილს მანამდე პანკისი ერქვა და ეს ხეობა ერეკლე მეფის მიერ 1781 წელს გაცემული სიგელ-გუჯრებით თუშებს ეკუთვნოდა, აქ მათი ცხვარი იზამთრებდა.

ქისტები საინტერესო ტრადიციების მქონე ეთნიკური ჯგუფია. მათ ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია უფროს-უმცროსობასა და სტუმარ-მასპინძლობას. ისინი უმტკივნეულოდ შეესისხლხორცნენ ადგილობრივ ყოფას, ტრადიციებს.

ქართველებისა და ქისტების ისტორიული თანადგომა საქართველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლებისათვის მისაბაძი იყო. ქისტები, საერთოდ ვაინახები, თითქმის ერთადერთნი არიან კავკასიაში, ვისთანაც ქართველებს ომი არა ჰქონიათ. არაერთი თქმულება და გადმოცემა გვახსენებს ჩვენს ერთობას, კავკასიელობას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ ურთიერთობას, თუნდაც გავიხსენოთ დიდი ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“, გაბრიელ ჯაბუშანურის ქისტებისადმი მიძღვნილი პოეტური კრებული „პოი, დილღოს მოღრუბლულო ცაო“, ეროვნებით ქისტი ქალბატონის ლეილა მარგოშვილის მეცნიერული გამოკვლევები თუ წერილები...

იხ. მე-2 გვ.

**პოზიცია**

## „ხელისუფალთა ლანძღვით ადამიანები საკუთარ თავსაც წარმოაჩენენ და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე“

**თანამედროვეობა ისტორიკოსის თვალით**

იხ. მე-3 გვ.

**ინფორმაცია**

### ტრანსპორტს დაემატა ფოსტა

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ შეაჯამა 2000 წლის მუშაობის შედეგები. სამინისტროს მონაცემებით, ამ პერიოდში საერთო ანგარიშით 173,8 მილიონი ლარია შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც 42,6 მილიონი ლარით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. დადებითი ბალანსით დაამთავრეს წელიწადი სამინისტროს სხვა დარგებმა – საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტმა, აგრეთვე, კავშირგაბმულობამ და ფოსტამ.

### ტყის საკეთილდღეოდ

საქართველოს ტყეების აღდგენისა და დეგრადირებული ფართობების გაჯანსაღების პროგრამები მაისისთვის მომზადდება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ კანდელაკმა, დღეისათვის საქართველოში აღრიცხულია 200 ათასი ჰექტარი დეგრადირებული ტყის ფართობი. უნდა დაზუსტდეს და შეფასდეს, ასევე, 516 ათასი ჰექტარი ფართობის ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეების მდგომარეობა. პროექტების შემმუშავებლებს საბიუჯეტო კრიზისის პირობებში მოუწევთ არა მხოლოდ ღონისძიებათა მასშტაბების განსაზღვრა, არამედ დაფინანსების წყაროების მოძიებაც, – თქვა თემურ კანდელაკმა.

### საოჯახო დახმარებები

საოჯახო დახმარებები მიმდინარე წელს 22 ლარიდან 32 ლარამდე გაიზრდება, – განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ.

მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მსოფლიო ბანკთან, რის შედეგადაც შესაძლებელია გაიზარდოს არა მარტო დახმარების თანხის რაოდენობა, არამედ იმ ოჯახების რიცხვი, რომლებიც მიიღებენ ამ დახმარებებს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.**




**უკანასკნელ საათს**

<u>რუსეთი</u> ბრუნდება აზერბაიჯანში, რუსეთის ტელევიზიის მტკიცებით, ასეთი შეფასება მისცა აზერბაიჯანულმა პრესამ რფ პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ვიზიტს ბაქოში.



<u>ჩეჩნეთს</u> დემონსტრაციული მკვლელობების ტალღამ გადაუარა – გუშინ სოფელ გერმენჩუს მეჩეთის იმამი მუჰამედ ჰასიევი საკუთარი სახლის წინ მოკლეს. ეს სასულიერო პირის მკვლელობის მეორე შემთხვევაა ბოლო დღეების განმავლობაში.



**ლარის კურსი**

*10 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.0361 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9808 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0300 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9184 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0714 ლარი. |

**ინტერპანორამა**

იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლება უძლურია დაიცვას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გუშინ დაკავებული თანამდებობიდან გადადგნენ ჩეჩნეთის ნაურისა და შოლკოვსკოეს ადმინისტრაციათა მეთაურები.



გუშინ მოსკოვში თავისი ბინის სადარბაზოში მოკლეს ფეხსაცმლის ფაბრიკის „პარიზის კომუნის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ვიაჩესლავ ანტონიუკი.



ჩინეთში არნახული თოვლია. პეკინში დაიხურა დაწესებულებები, სკოლები. დიდთოვლობის გამო პარალიზებულია ციმბირი და რუსეთის ზღვისპირეთიც, სადაც ყინვა მინუს 60 გრადუსს აღწევს.

**ამინდი დღეს**

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +2+7; დღისით +10+15.
მთაში: ღამით -2+3; დღისით +3+8.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით -4+1; დღისით +8+13.
მთაში: ღამით 0-5; დღისით +4+9.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით -1+1; დღისით +11+13.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 7. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2001 წელი.

თაობა

# საქართველოს ხვალინდელი დღე



(პირველი გვერდიდან)

დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში გამოფენილი იყო ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრები.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა, მინისტრებმა, პარლამენტარებმა დაათვალიერეს გამოფენის ექსპონატები და მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედებას.

კონცერტის დაწყებამდე პრეზიდენტის სტიპენდიატებს მიესალმა ზურაბ ჟვანია. მან გულითადად მიულოცა ახალგაზრდა მხატვრებს, მკვლევარებს, მეცნიერებს, უკვე სახელოვან სპორტსმენებს, მუსიკოსებს პრეზიდენტის სტიპენდია, რომელიც მათი საოცარი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის დაგვირგვინებაა. და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენს სახელმწიფოს უჭირს, იგი მაინც პოულობს საშუალებას, ღირსეულად დააფასოს თითოეული მათგანის შრომა და ნაღვაწი. ჩვენ, – თქვა ზურაბ ჟვანიამ, – სამართლიანად ვამაყობთ თქვენით. ვამაყობთ, რომ ახლა ბევრად უფრო ნიჭიერი თაობა მოდის. თქვენ შემოგცქერით სრულიად საქართველო, თქვენგან მოელის სამშობლო დიდ წარმატებებს, ახალ აღმოჩენებს.

შემდეგ დიდი საკონცერტო დარბაზი დაეთმო ახალგაზრდა შემოქმედთა ხელოვნებას. შეკრებილებმა ტაშით დააჯილდოეს შემსრულებლები. პრეზიდენტის სტიპენდიატებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

თქვენთან ერთსაათიანი შეხვედრა ჩემთვის უბედნიერესი წუთებია. გიყურებდით და ვფიქრობდი: ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

ის, რაც დღეს მე და ჩემმა მეგობრებმა ვნახეთ – საქართველოს ხვალინდელი დღე – მხატვრები, მეცნიერები, სპორტსმენები, პოეტები, უბრწყინვალესი შემსრულებლები – რომელ ქვეყანას არ დაამშვენებდა თქვენი ბრწყინვალე ნიჭი, შრომის უნარი. ეს ხომ არა მარტო ნიჭის, არამედ იმ უზარმაზარი შრომის გამოვლინება და ზეიმია, რომელიც თქვენს შემოქმედებას ამრავალფეროვნებს.

ჩვენი, ქართველი ხალხის ბედნიერება შემეცნებისკენ, ცოდნისკენ სწრაფვაა. ეს ჩვენი გენეტიკური მემკვიდრეობაა.

მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი ჩანახატი: იგი იჯდა შავი ზღვის პირას და დიდხანს გაჰყურებდა სივრცეს, ზღვის დასალიერს. რას უყურებთო, როცა ჰკითხეს, მან უპასუხა – ჩვენ, ქართველებს, სივრცე არ გვყოფნის და სწორედ ამ სივრცეს გავყურებო.

ზოგჯერ ჩვენს წინაპრებს, მათს ნიჭს, გონს, მართლაც არ ჰყოფნიდა სივრცე. ჩვენ ხომ პატარა ქვეყანა ვიყავით და უნიჭიერესი, მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანები მრავლად გვყავდა. განა საოცრება არ არის, როგორ აღმოჩნდა ეს პატარა ერი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში! როგორ აღმოჩნდნენ ჩვენი წინაპრები ათონის მთაზე, რუმინეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, რომში, აზიასა და ევროპაში?! მაშინ სხვა დრო იყო. სივრცის გადალახვა იოლი არ გახლდათ!

დღეს, ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, თქვენ ბედნიერი ხართ, თქვენთვის სივრცის პრობლემა არ არსებობს. დღეს ისეთი სამყაროა, ისეთი მსოფლიოა, რომ ყველა ქვეყნის კარი ღიაა ისეთი ნიჭიერი მომავალი თაობისათვის, როგორიც თქვენ ხართ. ვერავითარი სავიზო რეჟიმი, როგორიც უნდა შემოიღონ, თქვენ ვერ დაგაბრკოლებთ, თქვენთვის ყველა საზღვარი გახსნილია.

სიხარულის ცრემლს ვერ ვიკავებ, როდესაც ამ ახალგაზრდებს, ამ ბავშვებს, საქართველოს მომავალს ვუმზერ.

მახსენდება ლონდონში გამართული ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსი, რომელშიც ევროგაერთიანების ორმოცი ქვეყნის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. დაწესებული იყო 25 ჯილდო. ამ პრიზებიდან 5 სამმა ქართველმა ახალგაზრდამ დაიმსახურა, მათ შორის, გრან-პრი – ნიკა ჭანკვეტაძემ.

ლონდონშივე ითქვა, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა დაიპყრეს ევროპა. დიახ, დაიპყრეს და კიდევაც დაიპყრობენ. ჩვენ ხომ ევროპელები ვართ. აწ უკვე წინა საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაც მოწმობს, რომ პირველმა ევროპელებმა აქ, ქართულ მიწაზე დაადგეს ფეხი მილიონ შვიდასი ათასი წლის წინათ. და თუკი პირველი ევროპელი აქედან გავიდა მთელ ევროპაში, მაშინ, რა გასაკვირია, რომ დღესაც ევროპას დავიპყრობთ ნიჭით, შრომის უნარით, შემოქმედებისადმი დიდი ერთგულებით და მაღალი ზნეობით. ვათვალიერებდი თქვენს გამოფენას, ვუსმენდი თითოეულ თქვენგანს და ვფიქრობდი – ეს არის არა მარტო ნიჭიერების, არა მარტო ხელოვნების გამობრწყინება, არამედ უმაღლესი ზნეობისა. მოდით, ამ პრინციპებს არ ვუღალატოთ და მსოფლიოს ყველა ქვეყნის კარი მართლაც ღია იქნება თქვენთვის. თქვენ მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანები იქნებით.

ჩემთან ერთად აქ არიან პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჟვანია, პარლამენტარები, მინისტრები, რექტორები. ეს სტიპენდია ჩვენ მათთან ერთად დავაფუძნეთ. ვიცი, რომ თანხა მცირეა. მაგრამ აქ მთავარია ყურადღება, ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ეროვნული სახელმწიფო ახორციელებს. სახელმწიფო, რომელიც არ ზრუნავს ხვალინდელ დღეზე, მომავალ თაობაზე, ის სახელმწიფო ბედნიერი ვერ იქნება და დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებს.

მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ ამ შესანიშნავი შეხვედრისათვის და ბედნიერი წუთებისათვის.

ბედნიერების, სიხარულისა და შემოქმედების შეცნობის განცდა არ მოჰკლებოდეს ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს საუკუნიდან–საუკუნემდე, ათასწლეულებიდან– ათასწლეულებამდე.

საქინფორმი.



პრეზიდენტი

# 10 იანვარს ნინოწმინდის საბადოზე ახალი ჭაბურღილის ბურღვას იწყებენ

(პირველი გვერდიდან)

დევიდ რობსონის თქმით, „კანარგო ენერჯიმ“ შარშან 65 ათასი ტონა ნედლი ნავთობი და 73 მილიონი კუბური მეტრი გაზი მოიპოვა. გაიბურღა საწარმოო მნიშვნელობის ნავთობის შემცველი 3 ღრმა ჭაბურღილი.

2001 წლისათვის „კანარგო ენერჯის“ დაგეგმილი აქვს მოიპოვოს 150 ათასი ტონა ნავთობი და 100 მილიონი კუბური მეტრი გაზი, ცარცულ ნალექებში გაბურღოს 4 ახალი ღრმა საძიებო ჭაბურღილი და განახორციელოს შემდგომი გეოლოგიურ - საძიებო სამუშაოები.

შეხვედრაზე, სასიამოვნო ინფორმაციებთან ერთად, დევიდ რობსონი იმ პრობლემასაც შეეხო, რომელიც პარლამენტის მიერ ახლახან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეუქმნა ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას, კერძო, ერთ ტონა პიროლიზზე დაწესდა ახალი სააქციზო გადასახადი. სტუმარმა შეშფოთება გამოთქვა ამ ფაქტის გამო და აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთი ცდაა, ხელი შეუშალონ ქარხნის ამუშავებას, და ეს მოხდა მაშინ, როდესაც „კანარგო ენერჯი“ აპირებს დაამონტაჟოს ცეოფორმინგი მაღალოქტანიანი ბენზინის საწარმოებლად, თქვა მან. საამისოდ საჭირო ინვესტიცია უკვე ნაპოვნია და საქართველოში ექსპერტების დროულად ჩამოსვლას სწორედ ეს ახალი კანონი აფერხებს.

საქართველოს პრეზიდენტმა გაიზიარა სტუმრის შეშფოთება და აღნიშნა, რომ იგი ქარხნის აგების ერთ-ერთი ინიციატორია, რადგან საქართველოსთვის პრიორიტეტულია ნავთობის შიდა გადამუშავება. ედუარდ შევარდნაძემ იმედი გამოთქვა, რომ ეს გაუგებრობა პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ აღმოიფხვრება.

შეხვედრის დასასრულს, „კანარგო ენერჯის“ პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს სთხოვა, ქართველ პარტნიორებთან ერთად 10 იანვარს მოინახულოს ნინოწმინდის საბადოები და მონაწილეობა მიიღოს ახალი ჭაბურღილის გახსნის საზეიმო ცერემონიაში.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური – საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

# თურქეთი ყოველთვის მზად არის მხარში ამოსადგომად

**9 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო თურქეთის რესპუბლიკის დელეგაცია თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის აბდულ ჰალურ მეჰმედ ჩაის თავმჯდომარეობით.**

როგორც საპატიო სტუმარმა განაცხადა ვიზიტის ძირითადი მიზანია ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება და უკვე არსებული პროექტების რეალიზაცია.

„თურქეთის რესპუბლიკა საქართველოსთან თანამშრომლობს ურთიერთნდობისა და თანადგომის პრინციპების საფუძველზე და ეს მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებს როდი ეხება. თურქეთი ყოველთვის მზად არის საქართველოს მხარში ამოუდგეს ტერიტორიული ერთიანობის საკითხების მოგვარებაში ურთიერთსუვერენიტეტის გათვალისწინებით“– აღნიშნა თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრაზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორიც არის ყარსი-თბილისის მაგისტრალის მშენებლობა, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ერთობლივი მოდერნიზაცია და ორ ქვეყანას შორის ახალი საგზაო კარიბჭის გახსნა.

ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიაჩნია ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება, რაც ჩვენი რეგიონის ახალ გეოპოლიტიკურ როლს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზრდის. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ თქვა, თურქეთი დღესაც რჩება ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და პოლიტიკურ პარტნიორად. „ჩემი აზრით, ამ ქვეყანასთან ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ერთობლივი განვითარება, უპირველესად, კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის თავისთავადი გარანტი გახდება“, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. მანვე აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი მყარ საფუძველს შეუქმნის ორი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისო პროექტების დეტალების დამუშავებას, რაც თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მომავალი ოფიციალური ვიზიტის წინამოსამზადებელ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს.

შეხვედრის დასასრულს გადაწყდა, რომ შეიქმნას ერთობლივი ჯგუფები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

# ეკონომიკური თანამშრომლობა – ახალ საუკუნეში ურთიერთობის პრიორიტეტი

(პირველი გვერდიდან)

ორი ქვეყნის სახელმწიფო მინისტრებს მიაჩნიათ, რომ საქართველო-თურქეთის მრავალმხრივი თანამშრომლობა თავისთავად უკვე გლობალიზაციის პროცესის ერთგვარი დასაწყისია.

ახალ საუკუნეში ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელება, ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურების აზრით, ერთ-ერთი სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს.

ჩილდირ-აქთაშის სასაზღვრო გადასასვლელი პუნქტის კეთილმოწყობა, ყარსი-ახალქალაქის მიმართულებით სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, ბათუმის აეროპორტის რეაბილიტაცია, ასევე რუსთავის მეტალურგიული კონცერნის ამუშავება თურქი და აზერბაიჯანელი პარტნიორების მონაწილეობით, – ეს იმ პროექტთა ჩამონათვალია, რომლებიც თურქეთის სახელმწიფო მინისტრის აბდულჰალუქ მეჰმედ ჩაის აზრით, ძალიან ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს. პროექტებისა და დასახული ამოცანების ხორცშესხმის იმედს კი უდავოდ იძლევა საქართველო-თურქეთის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიისა და საქართველო-თურქეთის ბიზნესის საბჭოს საქმიანობა. როგორც თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, ახლო მომავალში ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომის გამართვა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის დროს არის დაგეგმილი. სავარაუდოდ, ეკონომიკური კომისიის სხდომის ფარგლებში ხელს მოაწერენ რამდენიმე ახალ შეთანხმებასა და დოკუმენტს.

საქინფორმი.

ბიუჯეტი

# დივიდენდები – მთელი წლის მანძილზე

(პირველი გვერდიდან)

რას უქადის ეს სიახლე ბიუჯეტსა და, საერთოდ, ქვეყანას? წინასწარი გათვლებით, სოლიდურ სიკეთეს. უპირველესად, ეს არის სახელმწიფოსათვის კუთვნილი დივიდენდების დროული, ურთიერთშეთანხმებული გრაფიკით გადაცემა. ამით წმინდა მოგების ხარჯვაზე სერიოზული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა შეიქმნება. არის დივიდენდის გარანტირებული მიღების საშუალებაც.

– ამ ხელშეკრულებამდე მთელი ექვსი თვე მივდიოდით. პრინციპი ერთი იყო – ორივე მხარის ინტერესთა შეჯერება. მოდელი შემუშავდა მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეობით. ხელშეკრულება მთლიანად უპასუხებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 აპრილის ბრძანებულების – „სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში წმინდა მოგების განაწილებისას სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა და სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში ამოღების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სულისკვეთებას, – ბრძანა ზურაბ ნოღაიდელმა.

**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისათვის მხარდაჭერის მიზნით, ნებაყოფლობით უარი განაცხადა უახლოეს წლებში თავისთვის დივიდენდების დატოვებაზე. ეს თანხები მთლიანად წარიმართება ბიუჯეტში.**

ხელშეკრულების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტი, გარდა გადასახადების სახით მიღებული 4,3 მილიონი ლარისა, დამატებით დივიდენდების სახით მიიღებს 4,2 მილიონ ლარს, რაც ჯამში 8,5 მილიონს შეადგენს. არის ერთი საყურადღებო მომენტიც: საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისათვის მხარდაჭერის მიზნით, ნებაყოფლობით უარი განაცხადა უახლოეს წლებში თავისთვის დივიდენდების დატოვებაზე. ეს თანხები მთლიანად წარიმართება ბიუჯეტში, რამაც გარკვეული ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. როგორც პრესკონფერენციაზე ხელშეკრულების მონაწილეებმა განაცხადეს, ამ სიახლეს ფართო მხარდაჭერა და განზოგადება ესაჭიროება. კორპორაციის ხელმძღვანელთა მხრიდან ეს არის კეთილი ნების, გნებავთ – პატრიოტიზმის გამოვლინება.

თავის დროზე (და ახლაც) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დიდი ენებათა ღელვის საგანი გახდა. ვიცით, რომ მას სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ამ დღეებში ისევ დაიწყო მითქმა-მოთქმა, თითქოს აშშ-ში არჩევნების შემდეგ ნავთობსადენისადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

– ჭორები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, – ამბობს გია ჭანტურია, – ნავთობსადენის მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა ახალმა პრეზიდენტმაც და მისმა ბევრმა თანამოაზრემაც. უფრო მეტიც: ამა წლის 24 იანვარს სტამბოლში შეიკრიბებიან დაინტერესებული მხარეები და ერთხელ კიდევ განიხილავენ ამ გრანდიოზული პროგრამის ასპექტებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია და მას რაიმე საფრთხე არ ემუქრება. ამჟამად უკვე დაწყებულია გამოყოფილი 260 მილიონი დოლარის ათვისება. საგულისხმოა ისიც, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების გამო კვლავაც გაიზარდა დასავლეთის ინტერესი ამიერკავკასიის მიმართ. ეს დიდი კოზირია, რომელსაც გამოვიყენებთ კიდეც. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ზურაბ ნოღაიდელმაც.

– დივიდენდებზე უარის თქმამ ხომ არ დაგაზარალათ? – ჰკითხეს გია ჭანტურიას.

– არა. განვახორციელეთ სტრუქტურული ცვლილებები. მთავარი აქცენტი პროექტების ათვისებაზეა გადატანილი. ყველა მათგანს აქვს თავისი თანხები და შეფერხების საფუძველი არ არსებობს.

საფინანსო წელი დაძაბული რომ იქნება, ყველამ იცის. პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი ხელშეკრულების მნიშვნელობაც სწორედ ამ დაძაბულობის მოხსნისათვის ხელშეწყობაშია. ახლა საინტერესო ის არის, როგორ შესრულდება იგი და სხვებიც გამოეხმაურებიან თუ არა.

ელგუჯა ლებანიძე.

ცხელი წერტილი

# ვინ ურღვევს პანკისის ხეობის მოსახლეობას სიმშვიდეს?..

(პირველი გვერდიდან)

ქისტურ თქმულებებში, სხვადასხვა ზეპირსიტყვიერ გადმოცემაში, ყველაზე მეტად ღალატია დაგმობილი, უღალატობა მათი ერთ-ერთი თვისება და ღირსებაა.

პანკისის ხეობაში ექვსი ქისტური სოფელია: დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ომალო, ძიბახევი და შუა ხალაწანი. აქ დაბადებულ ბავშვებს აკვნიდანვე ასწავლიან მშობლიურ ენასთან ერთად ქართულს, შთააგონებენ საქართველოს ერთგულებასა და ქართველი ხალხის სიყვარულს.

ადრეულ წლებში მთავრობამ მათ რუსული ენის სკოლის გახსნა შესთავაზა, რაზედაც ყველამ ერთხმად უარი განაცხადა. უთქვამთ: – საქართველოში ვცხოვრობთ, საქართველოა ჩვენი მეორე სამშობლო და შვილები მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სკოლაში უნდა აღვზარდოთო.

რა ხდება დღეს პანკისის ხეობაში?..

ამ ფიქრებით დამძიმებული გამოვეშურე მშობლიურ კუთხისაკენ, რათა მეხილა აღგილის დედა. ინფორმაციული ომით, აჟიოტაჟით, გარეშე თუ შინაური მტრით მომრავლებული და შეურაცხყოფილი, დღეს ასე შეგინებული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუში ვკითხულობთ:

**– „ვთხოვ როგორც ქართველ, ასევე, განსაკუთრებით, რუს ჟურნალისტებს, ნუ გააჩაღებენ, ეგრეთ წოდებულ, საინფორმაციო ომს, ვინაიდან ასეთმა მოვლენამ შეიძლება დიდად დააზარალოს ორი ხალხის ტრადიციული და გულწრფელი მეგობრობა“.**

კახეთში, და, კერძოდ, ახმეტაში ჩემი ჩასვლა იმ დროს დაემთხვა, როცა ახმეტის რაიონის ახლადდანიშნული გამგებელი თავისი აპარატით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებით, ჟანდარმების მუშაკებით პანკისის ხეობაში გაემგზავრა, რათა უკეთ გაცნობოდა ხეობის მოსახლეობის სოციალურ ყოფას, ჭირსა თუ ვარამს, მეც მათ დაუემგზავრე..

**დამნაშავეთა სამყაროს დათმობები არ ეგების, – უფრო თამამდებიან**

პანკისის ხეობაში სიტუაციის დაძაბვა ერთბაშად არ მომხდარა. მათ წინ სხვადასხვანაირი მოვლენები უძღოდა, რომლებმაც დღევანდელობამდე მიგვიყვანა.

– 90-იანი წლებიდან ხეობაში მომძლავრდა სისხლის სამართლის დანაშაულობები. შესუსტდა ძალოვანი სტრუქტურების ქმედითობა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ხეობაში შლაგბაუმები დააყენა და თვითონ დაიწყო წესრიგის დამყარება, რჯულის კანონზე დაყრდნობით შექმნა ადგილობრივი სასამართლო. ამით იგნორირებულია სახელმწიფო კანონმდებლობა და მართლმსაჯულება. აღარას ვამბობ საგადასახადო კანონმდებლობასა თუ სხვაზე. ამან ქაოსი, მოსახლეობის უიმედობა, ანარქია გამოიწვია, – მითხრა ქალაქ ახმეტის მერმა ზაქრო ქინქლაძემ.

თბილისიდან ახმეტაში ჩამოვიდნენ თანამდებობის პირები, რომლებიც ხეობის სოფლებში შეხვდნენ ქართველ, ქისტ და ოს მოსახლეობას. შეხვედრების დროს წარმოჩინდა, რომ საჭირო იყო უხუცესთა საბჭოს შექმნა. საორგანიზაციო შეკრება ახმეტის რაიონის გამგეობის თაოსნობით და სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობით ახმეტის გამგეობის შენობაში გაიმართა. უხუცესთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ სამივე ეროვნების ჭკუასაკითხავი უხუცესები, რომლებმაც ხელიხელგადახვეულებმა დატოვეს სხდომა და ერთმანეთს და ამასთან საქართველოს შეპირდნენ, რომ მათ შორის წამოჭრილ პრობლემებს, უპირველესად ამ საბჭოს მსჯელობის საგნად აქცევდნენ.

პირველი შედეგები მართლაც დამაიმედებელი იყო. შემდეგ კი უხუცესთა საქმიანობაში რატომღაც ცეცხლი განელდა...

ამ პერიოდში ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებს არაოფიციალურად რატომღაც ეკრძალებოდათ ქისტი და ჩეჩენი კრიმინალების დაკავება და დასჯა. რაიონის მოსახლეობისათვის ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა ქართველ მოქალაქეებს ჟანგიანი თოფის შეძენის და ნემსის ქურდობისათვის 1-დან 5 წლამდე ციხეს აძლევდნენ, პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობა კი წლების განმავლობაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იარაღდებოდა. ჩეჩნეთის ომის შემდეგ, ლტოლვილების მშვეობით, პანკისი გაიჭედა უახლესი იარაღით. რაიონის, მხარის ხელმძღვანელებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა ხუთიოდე წლის წინათ შენიშნეს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რაიონის ცენტრიდან პანკისის ხეობაში მოკალათებულ კრიმინალებთან ბრძოლა, ამავე დროს სულ უფრო იზრდებოდა ნარკომანთა რიცხვი (მათთან ბრძოლაც შეუძლებელი ხდებოდა იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში პანკისის ხეობაში დაკავებული ნარკომანები საქართველოს ერთობ მოსარიდებელი ადამიანების შვილები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე), მაშინ დადგა საკითხი, იქვე, პანკისის ხეობაში შექმნილიყო ახმეტის რაიონის პოლიციის პანკისის ქვეგანყოფილება. გამოიცა ბატონ კახა თარგამაძის სათანადო ბრძანება და განყოფილება გაიხსნა ფშაველების სოფელ ყვარელწყლის ტერიტორიაზე არსებულ ყოფილი საავადმყოფოს შენობაში. ეს სოფელი ქისტებით დასახლებულ სოფელ დუისს ესაზღვრება.

ქისტებმა, სხვათა და სხვათა წაქეზებით, რომელთაც, რა თქმა უნდა, ხელს აძლევთ ქართველ და ქისტ მოსახლეობას შორის საუკუნეობით ჩამოყალიბებული მეგობრული დამოკიდებულების

**მშვიდობიანი ქისტი მოსახლეობა და ჩეჩნეთიდან ლტოლვილები მოექცნენ ხელისუფლებისაგან ხელაღებულ, კრიმინალური უბედურების ზონაში.**

მოშლა, რატომღაც ჩათვალეს, რომ პოლიციის ქვეგანყოფილება ხეობის მოსახლეობის უშიშროების დასაცავად მომძლავრებული კრიმინალების წინააღმდეგ საბრძოლველად კი არ იყო შექმნილი, არამედ მათი უფლებების დასამცრობად.

რა ეწყინათ ჩვენს ქისტ ძმებს? პოლიციის ამ უბნის გახსნის გამო მათ ხომ მთავრობის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმოდათ? დამნაშავეებთან ბრძოლის გააქტიურებას რატომ უნდა შეეშფოთებინა ისინი? მაგრამ ნათქვამია, თუ წიწაკა არ გიჭამია, პირი რად გეწვისო. პოდა, ქისტი მოსახლეობის ერთი ნაწილი მიუვარდა პოლიციის ქვეგანყოფილებას და საშინლად დაარბია.

არავითარი ჟურნალისტური გამოძიება საჭირო არ არის: პანკისის ხეობაში ახმეტის რაიონსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ყველამ იცის, რა და როგორ მოხდა. მაგრამ... არც ერთი დამნაშავე არ დასჯილა. ახლა, როცა ყველა შეცდომის გაანალიზების ჟამი დადგა, იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ ასეთმა „თვალის მოხუჭვამ“ ისე გაათამამა ქისტები, მბრძანებლური კილოთი განაცხადეს, – ან უნდა გააუქმოთ ამ სოფელში ქვეგანყოფილება, ანდა სხვაგან გადაიტანოთო. ასეთი დათმობები, დიახაც, სავალალო შედეგებს იძლევა ხოლმე. ახლაც, დათანხმდნენ და ყვარელწყლიდან საკმაოდ მოშორებით, სოფელ კუწახტაში გადაიტანეს პოლიციის ქვეგანყოფილება.



პირველი „გამარჯვებით“ თავბრუდახვეული ქისტი კრიმინალები ამის შემდგომ ცას ქუდად არ მიიჩნევდნენ და დედამიწას ქალამნად. კუწახტის ქვეგანყოფილების შექმნას ადგილობრივი მოსახლეობა წერილმან დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის შტაბად აღიქვამდა, რამდენადაც მსხვილმან დამნაშავეებს, თითქმის არავინ აკავებდა, ან თუ აკავებდა, „ზემოდან“ დარეკვის შემდეგ კვლავ ათავისუფლებდნენ. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ძლიერდებოდა დამნაშავეთა სამყარო, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით.

ქვეგანყოფილების კუწახტაში გადმოტანით პანკისის ხეობა გაიმიჯნა ქართული და ქისტური სოფლების საზღვრით და ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ პოლიციის ქვეგანყოფილება უნდა იყოს, მხოლოდ „საზღვრის“ აქეთ და არა „ქისტების ტერიტორიაზე“.

ამას დამნაშავეობის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ადამიანთა მოტაცება) აფეთქება მოჰყვა და უკვე არა მხოლოდ პანკისის ხეობაში. კრიმინალური „ბუმი“ გასცდა მის საზღვრებს. პანკისის ხეობა დამნაშავეთა საიმედო თავშესაფარი გახდა.

მშვიდობიანი ქისტი მოსახლეობა და ჩეჩნეთიდან ლტოლვილები მოექცნენ ხელისუფლებისაგან ხელაღებულ, კრიმინალური უბედურების ზონაში. თანდათან იზრდებოდა ქართული მოსახლეობის გაღიზიანება მეზობელი ქისტების მიმართ, რაც ერთობ მტკივნეული იყო და მწარედ განიცდიდნენ როგორც ადგილობრივი ქისტები, ისე ლტოლვილი ჩეჩნებიც.

რაიონული და სამხარეო ხელისუფლება შიშობდა, რომ პანკისის ხეობაში კრიმინალური მდგომარეობის გამოსწორებისთვის ბრძოლას შეიძლება ეროვნებათაშორის დაპირისპირება და რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ესკალაციაც მოჰყოლოდა. გამორიცხული არ არის უცხო ქვეყნის სამსახურების დავალებით მავანნი კონკრეტულ დავალებას ასრულებდნენ, მაგრამ ჩვენივე უმოქმედობითაც ვქმნით ისეთ პირობებს, რომელიც ხელს აძლევს როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს, აღვივებს შუღლს, ხეობაში ძაბავს სიტუაციას.

მოსახლეობის სურვილი და თხოვნა ერთია: პანკისის ხეობაში მოგვარდეს უმძიმესი კრიმინალური მდგომარეობა, მშვიდობიან მოსახლეობას მოსცილდეს კრიმინალური ბალასტი, აღდგეს წესრიგი და კანონიერება.

და კიდევ: იქ ჩასულმა ჟურნალისტებმა გაითვალისწინონ, რომ მოვლენების არაობიექტურად, ზერელედ გაშუქებამ შეიძლება უფრო მეტად ავნოს საქართველოს, გამოუსწორებელ შედეგებამდეც კი მიგვიყვანოს, ფრთხილად მეგობრებო!

იზა ჯაჭვაძე,
„სრ“ სპეც. კორ.
ახმეტა-თბილისი.

(გაგრძელება იქნება).

### „კავკასიონი“ რამდენიმე საათში ამუშავდა

ელექტროგადამცემი ხაზი –500 „კავკასიონის“ გამორთვის მომენტიდან, რომელიც 8 იანვრის დილით გაჩერდა და, როგორც უკვე დადგენილია ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შედეგად ხაზის იზოლატორების დაზიანების გამო, საქართველოს ენერგოსისტემამ დაკარგა ექვს მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, რომელიც რუსეთიდან შემოდის.

„კავკასიონი“ დაზიანდა სოფელ საკენის მახლობლად. 9 იანვრის დღის ბოლოს სააქციო საზოგადოება „საქროსენერგომ“ დაამთავრა დაზიანების ლიკვიდაცია და აღადგინა ელექტროენერგიის მოწოდება.

### ახალი წინადადებები კავკასიის სტაბილურობისათვის

უახლოეს მომავალში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის პრეზიდენტს კავკასიის სტაბილურობის პაქტის თაობაზე ახალ წინადადებებს წარუდგენს. ერთ-ერთი ასეთი წინადადება შეეხება იმას, რომ პაქტთან დაკავშირებით 2001 წელს კონსულტაციები უნდა დაიწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ევროსტრუქტურებთან. დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება კონსულტაციებს მართავდა მხოლოდ აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, რუსეთთან და საბერძნეთთან, რომლებთანაც დიალოგი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

### თბილისში გაიხსნება

ახლო მომავალში თბილისში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო გაიხსნება. ეს ფაქტი საქართველოსა და ევროსაბჭოს თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურების საფუძველი იქნება, – თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. მანვე აღნიშნა, რომ ევროპის საბჭომ უკვე გადაჭრა თბილისში საინფორმაციო ბიუროს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური პრობლემა, რაც მის გახსნას აყოვნებდა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის

# მიმართვა

„წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა“ სახელობის ტაძრის აგებასთან დაკავშირებით

„წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა“ სახელობის ტაძარი აიგო ვახტანგ გორგასლის დროინდელ თბილისის უძველეს კარიბჭესთან.

ტაძარი კიდევ უფრო გაბრწყინდა 786 წელს, როცა მის დასავლეთის კარებთან მოჰკვეთეს თავი წმინდა მოწამეს აბო თბილელს.

ამის შემდგომ ტაძარი არაერთხელ იქნა დარბეული მომხდურთა მიერ, მაგრამ ჩვენი ხალხი უმალ სასოებით აღადგენდა ხოლმე მას.

არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ 1122 წელს, თბილისის აღების შემდგომ, თვით მეფე დავით აღმაშენებელს აღუდგენია იგი.

თბილისის ერთ-ერთ უძველეს ადგილას, დღევანდელი „აბანოთ უბნის“ ტერიტორიაზე, მეფე ვახტანგ გორგასლის დროინდელ გალავანთან, 15 საუკუნის წინ აიგო ქრისტიანობისთვის წამებული ორმოცი სებასტიელი მეომრის სახელობის ტაძარი.

786 წელს ტაძრის დასავლეთის კარებთან ქრისტიანობისათვის ეწამა აბო თბილელი.

მტერი არაერთხელ ეცადა აღეგავა მოწამეთა ტაძარი პირისაგან მიწისა, მაგრამ სასწაულებრივ გადარჩა ტაძრის საძირკველი და წმინდა აბო თბილელის სისხლნაპკურები ქვის ფილა.

სწორედ ამ წმინდა ადგილზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერითა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ძალისხმევით აიგება ქრისტეშობიდან მესამე ათასწლეულის ერთ-ერთი პირველი ტაძარი საქართველოში.

დაე, ათასწლეულთა შესაყარზე, ეს ტაძარი ყოფილიყოს ხიდი საქართველოს სახელოვან წარსულსა და ნათელ მომავალს შორის!

დაე ახალ, XXI საუკუნეში ეს ტაძარი იქცეს სიმბოლოდ დედა ეკლესიისა და ქართველი ერის ერთიანობისა, მშვიდობიანი აღმშენებლობისა და თავდადებული გარჯისა მამულის საკეთილდღეოდ!

ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს, მის ხალხს!

ამა წლის 11 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აკურთხებს თბილისის „წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა“ სახელობის ტაძრის ადგილს.



პოზიცია

# „ხელისუფალთა ლანძღვით ადამიანები საკუთარ თავსაც წარმოაჩენენ და უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე“

## თანამედროვეობა ისტორიკოსის თვალით

დროისა და სივრცის სისტემაში მოყვანა ადამის მოდგმამ მას შემდეგ მოახერხა, რაც მას ცივილიზებულობის ნიშანწყალი დაეტყო, თუმცა დღემდე მსოფლიოს არ გააჩნია ერთიანი, ყველასათვის მისაღები და შეთანხმებული კალენდარი. ამის გამოა, რომ თუ ქრისტიანული სამყარო მესამე ათასწლეულის დადგომას ზეიმობს, მაჰმადიანთა კალენდარზე ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეა. ამ თვალსაზრისით, არც ქრისტიანულ სამყაროში შეინიშნება დიდი ერთსულოვნება. სწორედ ამიტომ იყო, რომ დავობდნენ, 2000 წლის დადგომასთან ერთად გადავედით თუ არა ახალ საუკუნეშიც.

ასე იყო თუ ისე, ჩვენმა პლანეტამ კიდევ ერთი სრული ბრუნვით შემოუარა მზეს, რის შემდეგადაც დღეს სადავო აღარ არის, რომ ქრისტეშობიდან 2000 წელი უკვე ნამდვილად გავიდა, თუმცა არის მოსაზრება, რომ ისტორიულ წყაროებში შემონახული ინფორმაციის მიხედვით, მესია სულ ცოტა 7-8 წლით ადრე მოევლინა ქვეყანას. ამდენად, გამორიცხული არ არის, ქრისტეშობიდან 2000 წლის ისტორიული ზღვარი გაცილებით ადრე, შეუმჩნევლად გადაგველახოს.

და საერთოდაც, ისტორია მხოლოდ წარსულის ქრონოლოგია არ არის. ის საუკუნეების მიღმაც კი ინახავს მარადიულობის ნიშნით დაღდასმულ ღირებულებებს, რომელთა გახსენება არ გვაწყენს.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება თსუ ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი გრანი ქავთარია, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც არაერთი საინტერესო ნაშრომის ავტორს.

— წელთაღრიცხვა, როგორც ადამიანთა ერთი ნაწილის შეთანხმების შედეგი, პირობითი ცნებაა. ცნობილი ფაქტია, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ფრანგებმა ახალი წელთაღრიცხვა დაიწყეს, მერე კვლავ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგნენ. ამიტომ მე პომპეზურობით ათასწლეულების მიჯნების გადალახვის აღნიშვნა სწორად არ მიმაჩნია, რადგან ადამიანებს ხშირად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამბების აღნუსხვა გვავიწყდება ხოლმე, ხან კი რაღაც-რაღაცეები გვემლება კიდეც.



თანამედროვეთ ყოველთვის უჭირთ, გაუგონ გენიოსებს, თუმცა, იმასაც აცნობიერებენ, რომ თვითონ, შესაძლოა, მრავალი საფეხურითაც კი დაბლა დგანან.

— მაგალითად?

— მაგალითად, თუნდაც ქრისტეშობის თარიღი გამოდგება: თუ სახარებაში მოცემულ ინფორმაციას დავეყრდნობით, ქრისტეს დაბადებისას ჰეროდე ცოცხალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგივე სახარების მიხედვით ცნობილია, რომ ქრისტე დაიბადა სწორედ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის გამგებელი იყო კვირინუსი, რომელმაც მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. ეს ისტორიულად ცნობილი ფაქტი 6 წელს მოხდა. ბერი დიონისე მცირე აღნიშნავს, ქრისტე 525 წლის წინათ დაიბადაო. ისიც ცნობილია, რომ ჰეროდე 4 წელს გარდაიცვალა ანუ, მესიის მოვლენისას ჰეროდე უკვე გარდაცვლილია...

როგორც წესი, სარწმუნო წიგნებს არ აკრიტიკებენ, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, იქ ბევრ ფაქტობრივ შეუსაბამობას აღმოვაჩენთ, თუმცა ერთი რამ უდავოა — ქრისტე ნამდვილად ისტორიული პიროვნებაა.

**— რით შეიძლება აიხსნას ეს შეუსაბამობები?**

— ძირითადად გადამწერთა მიერ დაშვებული ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებით. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, მცოდნე და უცოდინარი გადამწერი — ორივე სახიფათოა, თუმცა მცოდნე გადამწერის ნახელავში შეცდომის გაცილებით მეტი ალბათობაა, რადგან იგი ხშირად სუბიექტურია და ისტორიულ ფაქტებს თავისი შეხედულებისამებრ ალამაზებს. უცოდინარს კი შეიძლებოდა, უბრალოდ, რაღაც გამორჩეს ან არასწორად გადაეწეროს.

ჩვენს თვალწინ განვითარებული მოვლენებისა თუ ჩვენს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსების შეფასება უაღრესად ძნელი საქმეა. ისტორია, საერთოდ, მოვლენას კი არა, მის შედეგს აფასებს, რაც სულ მცირე, ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ არის ხოლმე შესაძლებელი.

**— ამ ჭრილში თანამედროვე პრესის მნიშვნელობაზე რას იტყვით?**

— რაც იწერება, ისტორიისათვის ყველაფერი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ თვალსაზრისითაც პრესის დანიშნულება განუზომელია. ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ ერის წინაშე მათი ეს უდიდესი მისია პირნათლად არის შესასრულებელი. მართალია, შეიძლება, ვიღაცა რაღაცას ამავებდეს, მაგრამ წერილმანებს გამოკიდება და მათი პირველ გვერდებზე დიდის ამბით გამოტანა მომავალში სასაცილოდ გამოჩნდება. განსაკუთრებით ცუდი საქციელია ხელისუფლების სათავეში მყოფი ადამიანების აუგად მოხსენიება. შექმნილი მდგომარეობის გამო პასუხისმგებლობას, ხელისუფლებასთან ერთად, ხალხიც ინაწილებს. ხელისუფალთა ლანძღვით ადამიანები საკუთარ თავსაც წარმოაჩენენ და, აქედან გამომდინარე, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

**— კი, მაგრამ თავისუფალი სიტყვის უფლება დემოკრატიის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია. თუკი, ვთქვათ, იგივე ხელისუფლება მცდარ ნაბიჯებს დგამს, პრესამ კი ამ დროს საკუთარი ხელისუფლებისა და ისტორიის წინაშე „რევერანსებზე“ უნდა იფიქროს, რაღა მნიშვნელობა აქვს სიტყვის თავისუფლებას?**

— ანტიკური სამყარო იმიტომ არის საინტერესო, რომ იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენები და ღირებულებები მარადიულია. სამწუხაროდ, ჩვენი აზროვნება ანტიკური ხანიდან მოყოლებული, წინ არ წასულა. უფრო მეტიც, ჩვენ იმ დონისათვის ჯერ არ მიგვიღწევია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დღეს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არის იმ ხარისხის დემოკრატია, როგორიც ძველ საბერძნეთსა და რომში იყო, თუმცა იმ დროის თითქმის ყველა დიდი მოაზროვნე დემოკრატიას აკრიტიკებდა. სოკრატე სწორედ ამიტომ დასაჯეს სიკვდილით, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მას ბრალდება შეუთითხნეს. აქ, სხვათა შორის, ერთი დეტალიცაა მნიშვნელოვანი: სოკრატეს შეეძლო წასვლა და სასჯელისათვის თავის არიდება, მაგრამ მან განაცხადა, რომ ის ემორჩილება კანონებს, რომლებიც თავადვე, როგორც მოქალაქემ, ცნო და აღიარა.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატია კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, ხოლო ანტიკური ხანის მოაზროვნენი ბუმბერაზი ადამიანები იყვნენ, რატომღა აკრიტიკებდნენ ისინი საზოგადოებრივ წყობას, რომელზე უკეთესიც ადამიანებს დღემდეც კი ვერ გამოუგონიათ?**

— დიდი ადამიანები იმიტომ არიან დიდები, რომ აზროვნებით თავიანთ ეპოქას უსწრებენ. ამის გამო მათ ხშირად ვერ ვუგებთ. ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც გენიოსების მიმართ საზოგადოებრიობა აგრესიულად იყო განწყობილი, სიკვდილითაც კი სჯიდნენ. თანამედროვეთ ყოველთვის უჭირთ, გაუგონ გენიოსებს, თუმცა, იმასაც აცნობიერებენ, რომ თვითონ, შესაძლოა, მრავალი საფეხურითაც კი დაბლა დგანან. როგორც წესი, ეს შემდეგ შურის გრძნობას იწვევს. ახლა, რაც შეეხება დემოკრატიას — მისი სიკეთით ტკბობა მხოლოდ თავისუფალი ადამიანის პრეროგატივაა. დემოკრატიამ, როგორც ვთქვი, მწვერვალს ძველ საბერძნეთსა და რომში მიაღწია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ იქაც კი სიტყვის, აზრისა და მოქმედების თავისუფლება ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ ათ პროცენტს. მაგალითად, ატიკაში, რომლის დედაქალაქიც იყო ათენი, დაახლოებით, 400 000 კაცი ცხოვრობდა, მაგრამ თავისუფალი იყო მხოლოდ 40 000. მონები, ქალები და ოც წლამდე ახალგაზრდა კაცები ამ უფლებას მოკლებულნი იყვნენ.

ისტორიას და ეპოქებს პიროვნებები ქმნიან. დემოკრატიული საზოგადოება წინ ვერ მიდის, თუ მას კარგი წინამძღოლი არა ჰყავს, ის წინ მიდის კარგი ხელმძღვანელის მეთაურობით და ჰყავდეს საუკეთესო მეთაურის წყალობით, თუმცა ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგს სწორად და მიუკერძოებლად მხოლოდ დრო აფასებს. ამიტომ მიმაჩნია გადაჭარბებად იუბილეებისა და თარიღების აღნიშვნის პრაქტიკა — ამქვეყნად ყველაფერი პირობითია.

ესაუბრა
ელზა ჯმუხაძე.

**P. S. იმის გამო, რომ ბატონ გრანი ქავთარიას იუბილეები პომპეზურად არ უყვარს, მოკრძალებით შევნიშნავ, რომ დღეს ის 65 წლისა შესრულდა, და თუ ვინმე იკითხავს, რატომ ჩავთვალე საჭიროდ ამ ფაქტის აღნიშვნა, ვუპასუხებ: ეს არის ადამიანი, ვინც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის ეტალონად, სანიმუშო ქართველად მიაჩნიათ. ხოლო მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნოა.**

ქალთა საკრებულო

სულხან მოლაშვილის გუნდს (რომელმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას) ერთი ქალბატონი ამშვენებს. თამარ ბიჭიკაშვილი გონიერებით, შრომისმოყვარეობითა და პრინციპულობით ადრეულ ასაკიდანვე იპყრობდა ყველას ყურადღებას. გორის I საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ ფაკულტეტს მიაშურა, სადაც ყველაზე დიდი კონკურსი იყო, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში ჩაირიცხა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. პარალელურად პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა და 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორიც გახდა. მისი ბიოგრაფია დიდი შრომის ფასად იწერება და ამიტომაც დავინტერესდი — წლების განმავლობაში როგორ უთავსებს პასუხსაგებ თანამდებობებს ქალის უპირველეს ფუნქციას — დედობას?

ჩემისთანაზე ამბობენ: მამალი მგლისაც არ ეშინიაო, მაგრამ რესპონდენტის სიტყვაძუნწობით ისე შემაშინეს, მასთან შეხვედრამდე იმდენი ინფორმაცია მოვიპოვე, რომ გაოცებული თამარი აქეთ მეკითხებოდა — მერე, მერეო?!



# როცა ოჯახის თანადგომაა

— თეიმურაზ წერეთელთან ერთად ოჯახის შექმნას, ორი ჩინებული შვილის აღზრდას თქვენი ნიჭი, უნარი და მისწრაფება არ „ჩაუხშეია,“ ამაზე მეტყველებს სტუდენტობიდან დღემდე გამოვლილი გზა. ისიც ვიცი, გორის რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობის რთულ წლებში, იმ დროს, როდესაც მოშლილი იყო საბიუჯეტო სფერო, საგადასახადო სისტემა, თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ ამ პრობლემების გადაჭრაში.

— რეგიონული პოლიტიკის სამსახურის იმჟამინდელმა უფროსმა თემურ ფიფიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო გორის რაიონის პრობლემებს, რომლის შესახებ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გამოსვლა ვითხოვე, მაგრამ არ მოხერხდა. ბატონ ედუარდთან მივედი და ვუთხარი — საქართველო მარტო თბილისი და ქუთაისი არ არის, გორიც მისი ნაწილია, ყურადღებას ითხოვს და თათბირზე რატომ არ გამომიყვანეთ-მეთქი. სამომავლოდ დამპირდა და მართლაც, ორი-სამი თვის შემდეგ სათქმელი საჯაროდ ვთქვი.

**— ალბათ, ამ გამბედაობას და მშობლიური ქალაქის გულწრფელ გულშემატკივრობას შედეგიც მოჰყვა. გარდა ამისა, თქვენით „ზემოთაც“ დაინტერესდნენ.**

— იყო წინადადებები, მაღალი თანამდებობების შემოთავაზება, მე სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურში ახლადშექმნილი განყოფილება ვარჩიე, სადაც უფროსის თანამდებობაზე დამნიშნეს. ასევე სიამოვნებით ვიგონებ ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურში პეტრე ბაქრაძესთან მუშაობას და თემურ ბასილიასთან თანამშრომლობას.

**— გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის დოცენტს თამარ ბიჭიკაშვილს 15 წლის განმავლობაში ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ურთულესი საგნების, — შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწავლება, როდისღა დაეუფლეთ ქსოვის, კერვისა და ქარგვის ხელოვნებას?**

— ქალმა ყველანაირი ხელსაქმე უნდა იცოდეს.

**— ნინო უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია, დათუნა ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ლიცეუმის მეათეკლასელია, ასე თუ ისე, დღეს „თვითმომსახურების“ შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ ბავშვობაში?**

— ძალიან მშვიდი, უწყინარი ბავშვები იყვნენ, ოჯახშიც ყოველთვის ხელშეწყობა მქონდა. დედა, დედამთილი და მეუღლის ბებია მეხმარებოდნენ.

**— კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილედ თქვენი დანიშვნა დიდი ნდობის დასტურია. მით უმეტეს, კურირებთ საკმაოდ რთულ და პასუხსაგებ სფეროს — საფინანსო-ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებისა და უწყებების კონტროლს, საინფორმაციო-ანალიტიკურ სამმართველოს, რომელიც ფაქტობრივად წარმოაჩენს კონტროლის პალატის სახეს. თავს როგორართმევთ? ამ კითხვას უპასუხებს თქვენს შესახებ გავრცელებული აზრი: ეს ღიმილიანი ქალბატონი არც ისე მომხიბვლელია, როცა საქმე სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების უგულებელყოფას ეხებაო.**

— არ დავფარავ, დაუნდობელი ვარ. შეიძლება წიგნის კითხვისას ან ფილმის მსვლელობისას თვალზე ცრემლი მომადგეს, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შემოწმებისას გული არ ამიჩვილდება. რევიზორების მიერ დამუშავებულ 100-200-გვერდიან აქტებს რამდენჯერმე ვკითხულობ (სტილსაც ვაქცევ ყურადღებას), რიგით წერილსაც კი ხელს ისე არ მოვაწერ, თუ ღრმად და საფუძვლიანად არ გავიაზრე.

**— ამიტომაც კრთის თქვენი ფანჯრებიდან სინათლე ღამის 10-11 საათამდე?**

— სხვაგვარად როგორ შეიძლება, თითოეული სიტყვა, ხელმოწერა ხომ ადამიანის ბედს წყვეტს?

**— პასუხისმგებლობის გეშინიათ?**

— რაც არ მღალატობს, რისი კეთებაც არ შემიძლია, იმის რად უნდა მეშინოდეს. ამ ქვეყნად მხოლოდ სიბნელის მეშინია.

**— ახლახან კონტროლის პალატაში შეიქმნა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან თანამშრომლობისა და კონტროლის პალატის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შემმუშავებელი კომისია, რომლის თავმჯდომარეობაც თქვენ დაგევალათ. კიდევ რა თანამდებობა დაგრჩათ „აუთვისებელი?“**

— ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „სახელმწიფო და კონტროლის“ პირველი ნომერი, რომლის მთავარი რედაქტორი მე გახლავართ. ეს ყველაფერი სასიამოვნო ტვირთია.

**— აშკარაა, ოჯახში მეუღლის თანადგომა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების სტიმულსა და საშუალებას გაძლევთ. ჩვენი შეხვედრის თავდაპირველმა მიზანმა გეზიც ამიტომ იცვალა. რას შესთავაზებს მკითხველს ახალი ჟურნალის მთავარი რედაქტორი თამარ ბიჭიკაშვილი?**

— ჟურნალში გამოქვეყნდება კონტროლის პალატის რევიზიათა ანგარიშები, პროფესიულ დონეზე გამუქდება შემოწმებათა შედეგები. ვეცდებით იაფფასიანი სკანდალების გარეშე, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვის, სახელმწიფოს მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების, ეროვნული სიმდიდრის და სახელმწიფო ქონების დაცვის შესახებ.

მკითხველისათვის უცხო არ არის საბიუჯეტო სფეროში შექმნილი სავალალო მდგომარეობა, უამრავი გახმაურებული და ჯერ კიდევ დაფარული ეკონომიკური დანაშაული, ზღვარს გადასული კორუფცია, გამაოგნებელი არაპროფესიონალიზმი თუ დაუდევრობა. ჟურნალ „სახელმწიფო და კონტროლში“ გამოქვეყნდება სრულყოფილი ინფორმაცია კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევათა შესახებ. ჟურნალის ძირითადი მიზანი იქნება არა მხოლოდ შემოწმების შედეგად დადგენილი ფაქტების საჯაროდ გამომზეურება, კორუფციაში ჩაძირული „საქმოსნების“ მხილება, არამედ რაც მთავარია, ასეთი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზთა მხილება და გამოსავლის გამუდმებული ძიება.

მკითხველს შევთავაზებთ საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესის კვალიფიციურ ანალიზს, კონტროლის პალატის მიერ შემუშავებულ შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს, კანონებსა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს.

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

**P. S. მომატყუეს! საყვარელ საქმეზე საუბრისას თამარ ბიჭიკაშვილი სიტყვაძუნწი როდი ყოფილა! თავად რესპონდენტმაც მომატყუა — არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემი დამახსოვრება („გაკონტროლებულ-გამწარებულებს“ არ გულისხმობდა) ყველას უჭირსო. არადა, ათასში გამოვარჩევ ამ ნათელთვალება, გონებაგახსნილ, დარბაისელ ქალს, რომელსაც თანაბარი სიძლიერით უყვარს ოჯახი და ის რთული, პასუხსაგები საქმე, რომელიც (მეგობარ პოეტს დავესესხები) ჩვილი ბავშვივით მიაბარეს.**

სტატისტიკა

## სამშენებლო ბიზნესი ვითარდება

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განვითარებას იწყებს სამშენებლო ინდუსტრია. ძირითადად შენდება საცხოვრებელი სახლები, მიმდინარეობს ძველი შენობების რეკონსტრუქცია, საავტომობილო ტრასების აღდგენა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2000 წლის იანვარ-ნოემბერში სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა 406 ორგანიზაცია, აქედან 125 სახელმწიფო და 281 — კერძო, რომელთა მიერ შესრულებულია 127 მილიონი ლარის სამუშაოები. ამ პერიოდში ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები წარმოებდა თბილისში, აგრეთვე, იმერეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში.

საქინფორმი.

აუდიტი

# ინტეგრირების მოლოდინში

— ასე მგონია, ხვალიდან უკვე ახალი ცხოვრების დაწყებას შევძლებთ. უფრო სხვა ფორმით, სხვა სტილით, სხვაგვარად ვითანამშრომლებთ პარტნიორებთან. ეს დროის მოთხოვნაა, რადგან კაცობრიობამ უკვე ახალ ათასწლეულს გადააბიჯა. ახალი ხედვა ახალ საუკუნეში უამრავ ასპექტს წარმოაჩენს. გლობალიზაცია აყალიბებს ახალ ეკონომიკურ ტენდენციებს და მმართველობის უახლეს, დახვეწილ მეთოდებს ამკვიდრებს. ამ ეტაპზე ჩვენი კორპორაციის დანიშნულებაც იზრდება, მაგრამ ამოსავალი წერტილი მაინც უცვლელი დარჩება — არასოდეს არ დავადასტურებთ იმას, რის ჭეშმარიტებაშიც ეჭვი შეგვეპარება, — ამგვარად იწყებს საუბარს საქართველოს აუდიტორული კორპორაციის პრეზიდენტი **ბადრი დვალიშვილი** სულ ოთხიოდე წლის წინათ დაარსებულ სტრუქტურაზე.

კორპორაცია ემსახურება საქართველოს მრავალ სამეურნეო სუბიექტს, ერთობლივ საწარმოებს, უცხოელების მიერ დაფუძნებულ ფირმებს, აგრეთვე, იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, რომლებსაც ფინანსური წესრიგის დამყარება სურთ. ბადრი დვალიშვილის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა პარტნიორებთან ურთიერთობის ეთიკის დაცვა. მათთან წლის დასაწყისშივე აფორმებენ ხელშეკრულებას და მერე ფეხდაფეხ მიჰყვებიან თითოეული მათგანის საქმიანობას. ცდილობენ, რომ პარტნიორებს საკუთარი ფინანსები კონტროლქვეშ ჰქონდეთ. თანამშრომლობა კეთილგანწყობილების ფონზე ხდება.

**— ზოგიერთ ორგანიზაციას ურჩევნია „იოლას გავიდეს“, წლის ბოლოს სახელდახელოდ მიიღოს აუდიტორული დასკვნა...**

— ამგვარ თანამშრომლობაზე არასოდეს წავალთ. ეს გამორიცხულია. ვფიქრობ, ფორმალიზმი წარსულში უნდა დავტოვოთ. მას მომავალი არა აქვს.

**— როგორ „ეგუებით“ პრობლემებს, სიძნელეებს, რაც გამუდმებით წინ გეღობებათ?**

— განვითარების ევოლუციურ პროცესს თან ახლავს კანონმდებლობის განახლების აუცილებლობა, მაგრამ უნდა არსებობდეს ერთგვარი ჩარჩო, რასაც უნდა დაეყრდნოთ. მას მყარი იერსახე უნდა ჰქონდეს. კანონმდებლობის გაუთავებელი ცვალებადობა მრეწველებს უამრავ თავსატეხს უჩენს, საქმიან ადამიანთა წინაშე ბარიერებს წარმოშობს. ამის შესახებ ხშირად ვსაუბრობთ, მაგრამ მდგომარეობა, ჯერჯერობით, უცვლელი რჩება.

**— რთულია ქართული ბიზნესის პარტნიორობა?**

— ცხადია, იმათაც უჭირთ მუშაობა და ჩვენც გვიძნელდება მათთვის ხელშეწყობა, მაგრამ ვცდილობთ, რომ პარტნიორების ფინანსური საქმიანობა დღევანდელ კანონმდებლობას შეესაბამოთ. ამ მხრივ, ჩემი თვალსაზრისით, დიდი როლი შეასრულა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის სწორმა პოლიტიკამ. საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ ქებაძე ცდილობს ქართველმა აუდიტორებმა პარტნიორობა გაუწიონ მსოფლიოში ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ მიზნით უამრავი საინტერესო ღონისძიება ხორციელდება.

პრობლემათა განხილვა ერთი ფირმის, ერთი კორპორაციის არეალს სცილდება. ორგანიზაციების დიდ ნაწილს გადახდის უნარი არ გააჩნია, „სულს დაფავს“. აუდიტორული შემოწმება, ფინანსური მხარეების მოწესრიგება კი აუცილებელია. ადამიანი დახმარებას გეთხოვს. მას ამ ეტაპზე ჩვენი შრომის სრულყოფილი ანაზღაურება არ შეუძლია, მაგრამ უარს როგორ ვეტყვით? იქნებ, ჩვენმა დახმარებამ ფეხზე წამოაყენოს, იქნებ, ფინანსური კრიზისის დაძლევა შეძლოს...

საქართველოს აუდიტორულ კორპორაციას აქვს ლიცენზიები ზოგად, საბანკო, სადაზღვევო და საბირჟო აუდიტში. ჰყავს სათანადო პროფილის თორმეტი სერტიფიცირებული აუდიტორი.

კორპორაციის თანამშრომელთა 90 პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენს. ისინი, ვინც აქ დაეუფლა აუდიტორის პროფესიას, ფიქრობენ, რომ ახალი თაობისადმი მზრუნველობას თავისებური ტრადიციები აქვს, რაც მომთხოვნელობასთან ერთად გამორჩეულ დამოკიდებულებასაც გულისხმობს.

კორპორაციის საქმიანობა უამრავ სპექტრს მოიცავს. ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საკონსულტაციო მომსახურება. როცა ქვეყანაში ცვალებადია საგადასახადო და იურიდიული გარემო, მეწარმეებს აუცილებლად სჭირდებათ სწორი ორიენტირი, კონსულტაცია, რათა არ დაზარალდნენ და მომავალში საქმიანობის გაგრძელება შეძლონ. „თუ შენი კონსულტაცია სწორია და პარტნიორი პრობლემათა გადაჭრას ახერხებს, მაშინ უფლება გაქვს თქვა, რომ შეგიძლია სხვას გამოადგე, დაეხმარო, კრიზისული სიტუაციიდან იხსნა“, — ასე ფიქრობენ კორპორაციის მუშაკები.

საქმიანი ადამიანებისათვის ნდობის ფაქტორი უპირველესი ფენომენია. ინტელექტუალურ შესაძლებლობათა დაფასება, ნდობა მსოფლიოში ცნობილი, დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოდის. ამგვარ დამოკიდებულებას თანამშრომლობა, პარტნიორული ურთიერთობა ბადებს. სარწმუნო წყაროებით, მსოფლიო ბანკის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული პროექტების 50 პროცენტის ფინანსური ანალიზი საქართველოს აუდიტორულ კორპორაციას ეკუთვნის.

უკვე სამი წელია, რაც კორპორაცია დამოუკიდებელი ნაციონალური ფირმების უდიდესი მსოფლიო გაერთიანების „გრანტ ტჰორიგონ ინტერნეიშნლ“-ის წევრის, ფრანგული ფირმა „ამიოექსკოს“ ექსკლუზიური პარტნიორია ჩვენს ქვეყანაში. დღეისათვის „გრანტ ტჰორინტონ ინტერნეიშნლი“ თავისი 612 ოფისით წარმოდგენილია მსოფლიოს 100-ზე მეტ სახელმწიფოში. მისი წლიური კაპიტალბრუნვა 1,6 მილიარდ დოლარს აღემატება. საქართველოს აუდიტორული კორპორაცია ამ ორგანიზაციის კორესპონდენტ ფირმად ითვლება. ამიტომ, კორპორაციის დირექტორი აუდიტის დარგში, **ვანო ჯელია** სამოქმედო პროგრამას რეალური ფაქტების მიხედვით განიხილავს.

**— სასურველი პარტნიორობა მომსახურების მაღალ კულტურას გულისხმობს, მაგრამ მას ხომ გამუდმებით სჭირდება სრულყოფა. რა მეთოდს იყენებთ ამ მხრივ?**

— ბევრისთვის აუდიტორის ცნება მხოლოდ ბუღალტრული ან საგადასახადო ანგარიშგების გარკვეული მასშტაბით დადასტურებას ნიშნავს. ჩვენ მხოლოდ ეს ფუნქცია არ გვაკმაყოფილებს. კლიენტებს მაღალი ხარისხის ეკონომიკურ და იურიდიულ მომსახურებათა პაკეტებსაც ვთავაზობთ. უფრო კონკრეტულად, ეს გახლავთ: აუდიტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება; შიდა აუდიტი; საწარმოო რისკების მართვა; საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება და პროგრამული უზრუნველყოფა; ბიზნესის წარმართვა; იურიდიული და საგადასახადო მომსახურება; საშემფასებლო ხასიათის სამუშაოები...

**— წარსულის გადასახედიდან რა მიგაჩნიათ ერთგვარ მიღწევად?**

— კორპორაციის მრავალმხრივი საქმიანობიდან უნდა გამოიყოს კლიენტებთან ხანგრძლივი ურთიერთობები, ქვეყანაში მიმდინარე აღრიცხვის რეფორმაში შეტანილი წვლილის დაფასება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრივ. მოვიყვან ერთ მაგალითს: საქართველოს აუდიტორულმა კორპორაციამ განახორციელა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ათეული საწარმოს ანგარიშგების ტრანსფორმაცია, სამუშაო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად შესრულდა, რისთვისაც ფირმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და „სიბლინტერნეიშნლმა“ „დაფასების სერტიფიკატით“ დააჯილდოვა...

ვანო ჯელიას თქმით, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო კრიტერიუმებს მხოლოდ რამდენიმე ფირმის პროდუქცია შეესაბამება. საქართველოს აუდიტორულ კორპორაციას ასეთი ორგანიზაციების რიგებში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

დღევანდელობა სულ უფრო მეტად წარმოაჩენს აღრიცხვისა და კონტროლის უტყუარი მექანიზმის აუცილებლობას. აუდიტი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ატრიბუტია. სპეციალისტების რწმენით, ეს პროცესი უნდა იწყებოდეს სახელმწიფო კანცელარიაში და ნებისმიერი ორგანიზაციისათვის აუცილებელი იყოს.

დღეს ეკონომიკისა და აუდიტის ბედი ერთმანეთისაგან განუყოფელია. ერთის გაცოცხლება მეორის გააქტიურებას, მის სიცოცხლისუნარიანობას ნიშნავს. ამიტომ საქართველოს აუდიტორული კორპორაცია ახალი საუკუნის დასაწყისში, სამოქმედო არეალის შემდგომ ზრდას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უკავშირებს.

მოვლენებს დროის ფაქტორის მიხედვით თუ განვიხილავთ, რეალობა ერთგვარ ჭეშმარიტებასაც წარმოგვიდგენს: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში აუდიტს საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. ჩვენში ეს პროცესი სულ ოთხიოდე წლის წინათ დაიწყო. ჩანს, საქართველოს აუდიტორული კორპორაციის „ნახტომი“ მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. ახალი საუკუნე, ალბათ, ამ მხრივ კვლავაც უამრავ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

**ლამარა ესართია.**

ენერგეტიკა

# პარალელური მუშაობა — ენერგოსისტემის გამართულობის გარანტი

ენერგეტიკული სისტემების მეზობელ ქვეყნებთან პარალელურად მუშაობას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს დეფიციტური და კრიზისში მყოფი ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის. საკითხი ძალზე აქტუალურია და იმ პროექტის განხორციელებას, რომელსაც გეგმავს „პონტოელი“, მეზობელი ქვეყნების კეთილი ნების გარდა, ჩვენი ენერგოსისტემის ტექნიკური მზადყოფნა და საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მხარდაჭერა სჭირდება, ვინაიდან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკური და ტექნიკური მიზეზებით საქართველოს ენერგოსისტემა მხოლოდ იზოლირებული მუშაობის ამარა დარჩა და შეუძლებელი გახდა ელექტროენერგიის ნორმალური პარამეტრების (სიხშირე, ძაბვა) შენარჩუნება. დაბალი სიხშირით მუშაობის უარყოფითი შედეგები თანდათან იჩენს თავს და გამოსწორებას მოითხოვს. ამას ემატება მოწყობილობათა მწყობრიდან გამოსვლის გამო მოსახლეობისა და საწარმოების ზარალი.

არასპეციალისტებისთვისაც ნათელი ხდება ენერგოსისტემის პარალელური მუშაობის აუცილებლობა. არადა, 1962 წლიდან თბილისში მუშაობდა ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემების სადისპეტჩერო სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობდა ენერგოსისტემების პარალელურ მუშაობას. მის ბაზაზე 1994 წელს საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობების თანხმობით ამ ქვეყნების ენერგოსისტემებმა დააფუძნეს სააქციო საზოგადოება „პონტოელი“, რომელსაც დაევალა მათი პარალელური მუშაობის კოორდინაცია. ცენტრ „პონტოელს“ სათავეში უდგას ცნობილი ენერგეტიკოსი კაკო პეტრიაშვილი. „პონტოელი“ მოიაზრება, როგორც შავიზღვისპირა ქვეყნების ენერგოსისტემების გაერთიანების მომავალი კოორდინატორი. გასული წლის ბოლოს „პონტოელმა“ ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა წერილით, სადაც ნათქვამია, რომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 აპრილის № 336 განკარგულების შედეგად „პონტოელმა“ შეძლო მუშაობის განგრძობა და USAID-ის (ბატონი პ. ემრიხი) ხელმძღვანელობით და კონსულტაციებით დაიწყო ინტენსიური მუშაობა ენერგეტიკაში რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების განსახორციელებლად და ამიერკავკასიის რეგიონული ენერგობაზრის შესაქმნელად, რომლის წევრები იქნებიან, აგრეთვე, რუსეთის, თურქეთის, ირანისა და მომავალში ბისეკის წევრი სხვა ქვეყნების ენერგოსისტემები.

ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა სს „პონტოელის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს ცეცილი ქსოვრელს.

**— აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, რა სამუშაოები შესრულდა?**

— უწინარეს ყოვლისა, განხორციელდა კადრების მომზადებისა და წინასწარი სამუშაოების მთელი კომპლექსი.

საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის ენერგოსისტემების კომპეტენტური და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შემადგენლობით შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს კაკო პეტრიაშვილი. ჯგუფი უშუალოდ „პონტოელის“ ხელმძღვანელობით იმუშავებს. მისი მოვალეობაა მოიზიდოს ყველა აუცილებელი მასალა, ენერგოსისტემების პარალელური მუშაობის აღდგენისა და შემდგომი რეგიონული ენერგობაზრის ჩამოსაყალიბებლად.

**— რა შედეგებს მოგვცემს ყოველივე ეს?**

— ცნობილია, ენერგეტიკის განვითარება განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა აღიარებით, საქართველოს ენერგოსისტემების პარალელური მუშაობის აღდგენა მეზობელ ენერგოსისტემებთან და მისი მართვის მიზნით ჩამოყალიბებული ენერგოპულტი შეითავსებს რეგიონული ენერგიის ბაზრის ფუნქციებს, აამაღლებს ენერგოსისტემის სტაბილურობას, უფრო საიმედოს გახდის ქვეყნის ენერგომომარაგებას ხარისხიანი ენერგიით. USAID-ის ექსპერტების წინასწარი გაანგარიშებით მარტო ამიერკავკასიის სამ ქვეყანას შორის ელექტროენერგიით ვაჭრობა სოლიდურ შემოსავალს მოუტანს საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის რეგიონს.



**— თუ საიდუმლო არ არის, რა შინაარსის იყო წერილი, რომლითაც „პონტოელმა“ ქვეყნის პრეზიდენტს მიმართა?**

— ჩვენ იმ წერილში პრეზიდენტს გავაცანით „პონტოელის“ წინაშე დასმული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები და მხარდაჭერა, თანადგომა ვთხოვეთ.

**— რა გიპასუხათ?**

— რა თქმა უნდა, მოიწონა ჩვენი პროგრამა და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში სრული მხარდაჭერა და დახმარება აღგვითქვა.

**— მსოფლიოში არსებული მსგავსი პარალელური სისტემების შესახებ რას იტყვით?**

— ანალოგიური ცენტრები ბევრ ქვეყანაშია. ამის მაგალითია ცენტრალური ევროპის 15 ქვეყნის ენერგოსისტემების საკოორდინაციო ცენტრი UCPTE (ქ. ბრიუსელი), სკანდინავიის ქვეყნების ენერგოსისტემების საკოორდინაციო ცენტრი Nord (დანია), ყოფილი СЭВ-ის ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო სადისპეტჩერო ცენტრი CENTRL (ქ. პრაღა) და ა. შ. ასევეა ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებში – ბალტიისპირეთში, შუა აზიაში, სადაც რეგიონული სადისპეტჩერო ცენტრები შენარჩუნებულია და დღემდე ფუნქციონირებს.

**— როგორია თქვენი საქმიანობისადმი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დამოკიდებულება?**

— ენერგეტიკის საკითხებში პოლიტიკის განმხორციელებელია სამინისტრო და გასაგებია, რომ იგი სრულ მხარდაჭერას გვიცხადებს. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო მარეგულირებელი კომისიის დადებითი დამოკიდებულება და დახმარება ჩვენი პრობლემების მოგვარებაში. ჩვენი მხრიდან დავამატებთ — უცხოელი ექსპერტების შეფასებით, „პონტოელს“ საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. ენერგოსისტემების პარალელური მუშაობა, რომლის კოორდინაცია „პონტოელის“ ძირითადი მოვალეობაა, შავიზღვისპირეთის ქვეყნების ენერგოსისტემების გაერთიანება კიდევ ერთ პირობას ქმნის ელექტროენერგიის სატრანზიტო ქვეყნად საქართველოს ჩამოსაყალიბებლად. ეს კი საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის მტკიცე გარანტიას ქმნის.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით, „პონტოელი“ საქართველოს ტერიტორიაზეა და ენერგეტიკოსებისა და პოლიტიკოსების კიდევ უფრო აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვს, რათა საბოლოოდ დარჩეს საქართველოში, როგორც სტრატეგიული ობიექტი. მისი ჩვენთან ყოფნა არა მარტო ეკონომიკურად, არამედ სტრატეგიული თვალსაზრისითაც მომგებიანია.

**ქეთევან ჩემია.**

### ფინანსთა მინისტრი „ნულოვანი ვარიანტის“ მომხრეა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პარლამენტს ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციისაკენ მოუწოდებს, რაც საქართველოს მიერ ყოფილი სსრკ-ს აქტივებისა და პასივებიდან რუსეთის სასარგებლოდ საკუთარ წილზე (1,62 პროცენტი) უარის თქმას გულისხმობს.

როგორც ნოღაიდელმა ჟურნალისტებს უთხრა, რატიფიკაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჭირო გახდება რუსეთთან მრავალწლიანი მოლაპარაკებები იმისათვის, რომ გაირკვეს აქტივების და პასივების კონკრეტულად რომელი ნაწილი ეკუთვნის საქართველოს. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგად ქართული მხარე „რეალურად ლიკვიდურ“ აქტივებს მიიღებს.

საქართველოს ასეთი მოლაპარაკებებისათვის დრო არ აქვს, რადგან ქვეყნისთვის არასდროს ყოფილა ასე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის განახლება, რისი პირობაც არის რუსეთთან საგარეო ვალის საკითხის მოწესრიგება, აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში სსფ 65 მილიონ ლარს გადარიცხავს საქართველოს გასული წლის ბიუჯეტის ანგარიშზე და 150 მილიონ ლარს 2001 წლის ბიუჯეტის ანგარიშზე.

### დედაქალაქის საწვავით მომარაგება გაუმჯობესდება

თბილისის მერიაში გაიმართა მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროსთან „თბილგაზის“ დღგ-საგან გათავისუფლების თაობაზე. ზამთრის პერიოდში დედაქალაქისადმი ბუნებრივი გაზის მიწოდება 3 მილიონიდან 16 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით გაზის დანაკარგი თბილისში საკმაოდ დიდია. ამის გამო იწყება იმ ქსელების შეკეთება, სადაც გაჟონვა ხდება.

ბუნებრივი გაზი კი იმდენი იქნება, რამდენსაც ამოიღებენ მოხმარებული გაზის ღირებულებას.

### რუსთავის მერი საგადასახადო ინსპექციას „იმპიჩმენტით“ ემუქრება

რუსთავის მერია უნდობლობას გამოუცხადებს რეფორმირებულ რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციას იმ შემთხვევაში, თუ იგი იანვრის გეგმას არ შეასრულებს და დეკემბრის ჩამორჩენას საბიუჯეტო შემოსავლების მხრივ არ აანაზღაურებს მიმდინარე თვეში, უთხრა პრაიმ-ნიუსს რუსთავის მერმა ლაშა მინდელმა.

მისი თქმით, საგადასახადო ინსპექციამ დეკემბერში ქალაქის ბიუჯეტს 100 ათასი ლარი დააკლო, რომელიც საბიუჯეტო ხელფასებს უნდა მოხმარებოდა, და ისედაც რთული სოციალური ფონი კიდევ უფრო დაამძიმა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.**

იმპორტიორი

# „აიტიესი“ კი არ უნდა გვაშინებდეს, გზებს უნდა ეძებდეს

შარშან, დეკემბერში გამართულმა მთავრობის სხდომამ, როგორც ჩანს, საფუძველი ჩაუყარა წინასაექსპორტო ინსპექტირების ახალ ეტაპს. საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მიხეილ მაჭავარიანის და, საერთოდ, მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება „აიტიესის“ საქმიანობისადმი, ერთი მხრივ, მისასალმებელია, მაგრამ საკმარისი როდია, რადგან მთავრობა უკმაყოფილოა მხოლოდ იმით, რომ „აიტიესის“ მოღვაწეობამ არ გაზარდა საბაჟო შემოსავლები, ვერ უზრუნველყო საბაჟოს სრულფასოვანი რეფორმა და კონტრაბანდის შემცირება. სამწუხაროდ, „აიტიესზე“ მსჯელობისას არავინ აღნიშნავს, თუ რა ზიანი მოაქვს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ძირითად დებულებებს კეთილსინდისიერ იმპორტიორთა და ექსპორტიორთათვის. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მხოლოდ „აიტიესისთვის“ ექსკლუზიური უფლების ჩამორთმევისა და იგივე ფუნქციების სხვა აკრედიტებული კომპანიებისთვის გადაბარებისას ისევ უყურადღებოდ დარჩება „აიტიესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელყოფენ კეთილსინდისიერ იმპორტიორთა უნივერსალურ უფლებებს (ასეთი საკანონმდებლო ცვლილებები აღნიშნულია 23 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში — „მხარს ვუჭერთ და ვიმედოვნებთ“). ეს რომ არ მოხდეს, ვთხოვთ ბატონ მიხეილ მაჭავარიანს და პარლამენტის დარგობრივი რეფორმების კომიტეტს, მოაწყონ წინასაექსპორტო ინსპექტირების რაობასა და მისი ხერხების თაობაზე ფართო საჯარო მსჯელობა. რაც შეეხება „აიტიესის“ მუქარას, რომ ის მთავრობის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმართავს საფრანგეთის სასამართლოს, ვფიქრობთ, არის მთავრობაზე ზეწოლის ხერხი და სხვა არაფერი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის უზენაესობიდან გამომდინარე, ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც საქმიანობს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ვალდებულია, დაემორჩილოს საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლი კი აღნიშნავს, რომ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ექვემდებარებიან საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებას, „აიტიესთან“ გაფორმებული ხელშეკრულება კი, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე ხელმოწერილია საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ საქართველოს სახელმწიფოს სახელით და ამ ხელშეკრულების ბაზაზე და პირობებზე მიღებულია რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რატომღაც არ სურთ აღიარონ ამ ხელშეკრულების ავტორებმა, და, სამწუხაროდ, რიგმა პარლამენტარებმა, ეს ის საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ექვემდებარება პარლამენტში სავალდებულო რატიფიცირებას, რაც დღემდე არ მომხდარა.

აქედან გამომდინარე, „აიტიესს“, სანამ დაიწყებდა კონკრეტულ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში, ვალდებული იყო სცოდნოდა ჩვენი კონსტიტუციის მოთხოვნები. „აიტიესი“ იმაზე კი არ უნდა ფიქრობდეს, რომ დააშინოს საქართველოს მთავრობა, არამედ ეძებდეს გზებს, რათა მის წინააღმდეგ არ აღიძრას სარჩელი არარატიფიცირებული ხელშეკრულების ბაზაზე საქართველოში მნიშვნელოვანი თანხების მიღების გამო. კარგი იქნება, თუ მთავრობა ამას გაითვალისწინებს „აიტიესთან“ ურთიერთობის დროს.

**დავით ტარუაშვილი.**

ღვაწლი

# ვამაყობთ მეგობრის მიღწევებით



ამას წინათ პრეზიდენტის განკარგულებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდა ქართველ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი. მათ შორისაა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ჯულაყიძე**.

იგი რამდენიმე ათეული წელია აქტიურად იღვწის ქვეყნის სამეურნეო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ სარბიელზე. სამი ათეული წელი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1995 წლიდან არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 25 წლის მანძილზე თავკაცობდა საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს კომერციის ინსტიტუტის, შემდეგ მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის, და ბოლოს – საკავშირო „ცენტროსოიუზის“ სამომხმარებლო კოოპერაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს. რამდენიმე წელს იმუშავა მარკეტინგისა და სამომხმარებლო ბაზრის მართვის არასახელმწიფო საერო ინსტიტუტის რექტორად. ამჟამად ბატონი გიორგი დასახელებულ ინსტიტუტში ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ბიზნესის კათედრის გამგეობას.

გიორგი ჯულაყიძე 70 სამეცნიერო ნაშრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორია. ისინი შეეხება მიმოქცევის სფეროს ეკონომიკას, მშენებლობის და სხვა აქტუალურ საკითხებს. მისი მონაწილეობით დამუშავდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო „ცენტროსოიუზიდან“ დამოუკიდებლობის აღდგენის კონცეფცია და დადგენილების პროექტი, რაც მოიწონა ცეკავშირის საბჭომ და გაატარა კიდეც ცხოვრებაში. იგი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი ინდიკატური გეგმების შედგენისა და დაზუსტების სამუშაოებში. ახლახან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა და მოიწონა გიორგი ჯულაყიძის მიერ შესრულებული გამოკვლევა, რომელიც შეეხება საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემებს.

ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, უაღრესად სპეტაკ პიროვნებას და აღიარებულ მეცნიერ-პედაგოგს სამშობლოს მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს.

**გურამ ყუფუნია,**
ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორის მოადგილე, დოცენტი.

**შოთა ფუთურიძე,**
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, დოცენტი.

რეპლიკა

# ტომატი სადღა გაქრა?

მახსოვს, მამაჩემმა პირველად რომ ოჯახში პატეფონი მოიტანა, ბავშვები სიხარულით ცას ვეწიეთ. ახლობელმა ფირფიტებით მოგვამარაგა და როცა მე და ჩემი ძმა თამაშით გულს ვიჯერებდით, ჩავრთავდით პატეფონს და კარგახანს ვისმენდით სიმღერებს: „ზემოდანა მოდიოდნენ კეკელა და მარო“, „მაინც ჩემი გოგონა ხარ“, დები იმხნელების მელოდიებს და სხვა... იყო სახუმარო ტექსტებიც, რომელთაგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქართლოს კასრაძის ცნობილი იუმორი „წადი, წადი, გაიარე, უტომატო სუპი ჭამე“. ისე ლაზათიანად და სასაცილოდ ყვებოდა ავტორი ამას, რომ ბავშვები სიცილით ვიფხრიწებოდით.

მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა. უკან დარჩა და ლამის დავიწყებას მიეცა ბევრი სიმღერა, ასევე ქართლოს კასრაძის ის ძველი სახუმაროც, მაგრამ დიასახლისებს არასოდეს გვავიწყდება, რომ ბევრი სახეობის კერძი უტომატოდ არ ვარგა.

თუ ჩვენს ბაზრობებსა და სუპერმარკეტებს შეავლებთ თვალს, ტომატს კი იპოვით, მაგრამ ქართულ ტომატს ვერა, სავაჭრო დახლებზე უფრო მეტად ირანული პასტები ჭარბობს, რომელიც სიგემრიელით ქართულ ტომატ-პასტას დიდად ჩამოუვარდება, მაგრამ ასარჩევად რომ არა გვაქვს საქმე, რაღას ვიზამთ, ისევ იმას ვყიდულობთ, რაც ბაზარზე იმოვება.

ისე ნამდვილად გასაკვირია, საქართველოში, სადაც მრავალი სახეობის პამიდორი მოჰყავთ, ჩვენებური ტომატი რატომ გაგვიხდა სანატრელი? კარგად გვახსოვს, ქვეყნის ბევრ საწარმოში გადაამუშავებდნენ პამიდორს, მოსახლეობაში ეს პროდუქტი უპრობლემოდ საღდებოდა, რითაც ქვეყანას გარკვეული შემოსავლი ჰქონდა. ახლა ეს ქარხნები გაჩერებულია და ქართული ტომატის წარმოებაც დავიწყებას მიეცა, ეს ყოვლად გაუმართლებელი და მოუთმენელია.

**ლალი ძინძლაძე**

გვწერენ

# გამოსავალი არსებობს

ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველი გვაქვს. ენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო, ქვეყანა ძლივს გადაურჩა სამოქალაქო ომს და ასეთი საშიშროება კვლავ არსებობს. ამის მიუხედავად, პოლიტიკოსები კვლავ ცდილობენ ისარგებლონ მდგომარეობით, მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვებით და მიიღონ პოლიტიკური დივიდენდები, გაამართლონ საკუთარი ქმედება, სხვას გადააბრალონ შექმნილი მდგომარეობა, ჯიუტად არ დაინახონ გამოსავალი, რაც მოსახლეობის უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს.

არადა, მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობს. ჩვენ, დარგის პროფესიონალებს, ეს საკითხი არაერთხელ დაგვიყენებია აღმასრულებელი სტრუქტურების წინაშე, მაგრამ თავი არავინ შეიწუხა. აუცილებლად მიგვაჩნია, 2001 წლის ბიუჯეტში მიზნობრივად გამოიყოს 5 მილიონი ლარი მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰესების მშენებლობისათვის. ამ თანხით დაფინანსდეს ტენდერში გამარჯვებული 2 ან 3 პროექტი. 1,5-2 წლის შემდეგ ამოქმედებული ჰესები საპროცენტო განაკვეთთან ერთად დაიწყებენ მათ მშენებლობაზე დახარჯული თანხების დაბრუნებას. სამი ან ოთხი წლის განმავლობაში ასეთი წესით აშენებული რამდენიმე ჰესი ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგებას რადიკალურად ვერ შეცვლის, მაგრამ ისინი იქნება მაგალითი იმისა, რომ ქვეყანა ჰესების მშენებლობას სახელმწიფოებრივად უდგება, რომ მათი მშენებლობისათვის ქვეყანაში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რაც ქვეყანაში ინვესტორებს შოიზიდავს. ისინი დააბანდებენ პროექტებში ფულს იმიტომ, რომ ქვეყნის შიდა ბაზარი გაჯერებულია ნებისმიერი პროდუქციით, გარდა ელექტროენერგიისა. იაფი ენერგიით ბაზრის უზრუნველყოფა არ მოხდება უახლოეს წლებში, რასაც კარგად ხედავს ქართველი ინვესტორი. მას შემდეგ, რაც ჰესების მშენებლობაში თავის ფულად სახსრებს მოიტანს კერძო სექტორი, სახელმწიფოს დახმარება საჭირო აღარ იქნება. ამ დროისათვის შესაძლებელი იქნება კომერციული ბანკების მომსახურების გამოყენებაც.

აღნიშნული ღონისძიება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. გადაუდებლად საჭიროა ის საშინელება, რომელსაც სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი ჰქვია, დაინგრეს. იგი უნდა დაინგრეს, რადგან ხელს უშლის ახლის, პროგრესულის დანერგვას. იგი უნდა დაინგრეს, რადგან იქ შექმნილია ნოყიერი ნიადაგი სპეციალისტთა ცდუნებისათვის და შემდეგ მათი პასუხისგებაში მიცემისათვის. ამას წინათ კონტროლის პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ისინი ვერ შეურიგდებიან სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო სტრუქტურების „შეხმატკბილებულ“ მუშაობას.

არა მარტო პროფესიონალებს, არამედ სხვებსაც აკვირვებთ ენერგიის კერძო მწარმოებელსა და გამნაწილებელს შორის ეს შეხმატკბილებული მუშაობა. კარტოფილის გამყიდველი გლეხი უფრო მკვეთრად დაპირისპირებულია მყიდველთან, ვიდრე ესენი ერთმანეთში. და ჩნდება კითხვა, რამდენი ადამიანი უნდა დაიჭირონ, რომ დაინგრეს ის მექანიზმი, რომელიც ასეთ შეხმატკბილებულ სამუშაოს ქმნის. როდესაც იყიდება ჰესი ან თბოელსადგური, საჭიროა მასთან ერთად გაიყიდოს ქსელი და სიმძლავრეს მიუმაგრდეს მომხმარებელთა ის რაოდენობა, რომელთა ელექტროენერგიით მომარაგებას შესძლებს. იურიდიულმა პირმა თვითონ უნდა ამოიღოს ელექტროენერგიის საფასური, თვითონ გადაიხადოს გადასახადები და თვითონვე მოიხმაროს მოგება შეხედულების შესაბამისად. საქართველოში ასეთი ორგანიზაციები უნდა ჩამოყალიბდეს იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება, და ასეთი გზით, რაღაც სიდიდით უნდა დამკვიდრდეს რეგიონული ენერგომომარაგება (სახელმწიფოს შეუძლია ზოგიერთის განსახელმწიფოებრიობა არ მოახდინოს). მხოლოდ ამ გზით დაიწყება ელექტროენერგიის გამომუშავების გაღიდება და საფასურის ანაზღაურებაში წესრიგის დამყარება. ამ გზით შეიქმნება ენერგიის რეალური ბაზარი და დამყარდება რეალური ფასი, შეიქმნება სააქციო საზოგადოებები და ჰესების მშენებლობა ლადგება მყარ ნიადაგზე.

აღნიშნული გზა ერთადერთი გამოსავალია სახიფათოდ გაჭიანურებული ენერგოკრიზისიდან და იგი ჩვენი აღმოჩენილი არ არის.

მოვითხოვთ, პრესამ ამ წერილზე რეაგირება მოსთხოვონ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, კანცელარიას, ენერგეტიკის სექტორს, პარლამენტარებს. მიგვაჩნია, რომ პრესა, ტელევიზია დღეს დიდი ავტორიტეტის მქონე ძალაა და მან უნდა იხსნას ქვეყანა სამოქალაქო ომისგან.

**ნუგზარ კობახიძე,**
კოლექტივის სახელით შპს „მცირე ჰესის“ დირექტორი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

# ტექნიკური უნივერსიტეტი

10 იანვარი. 2001 წელი.
№1 (33)

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება

გილოცავთ!

## ფეხბედნიერი ყოფილიყოს



ჩვენს ქართულ მიწაზე ახალმა საუკუნემ და ათასწლეულმა შემოაბიჯა. ახალ 2001 წელს ამ გარემოებამ მეტი შინაარსი და სილამაზე შესძინა.

ქართველი კაცი ახალ წელს ოდითგანვე აღუწერელი სიხარულით ეგებებოდა, რადგან მას უკავშირებდა ადამიანურ ბედნიერებაზე, სიკეთეზე, ხვავსა და ბარაქაზე სანუკვარ ოცნებათა აღსრულებას.

მეც ასე ტრადიციულად მინდა დავილოცო, მივულოცო ახალი წელი ჩემს ქვეყანას, ხალხს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენთვის, ყველასათვის 2001 წელი — ყოფილიყოს გარდატეხის წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წინსვლის გზაზე.

**რამაზ ხუროძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.**

თაობა

## ჩვენ ეროვნული მოძრაობიდან მოვდივართ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტურ კავშირს 10 წელი შეუსრულდა. ამ თარიღის აღსანიშნავად სტუდკავშირის ხელმძღვანელობამ კულტურული, სპორტული თუ სხვა გასართობი ღონისძიება მოაწყო, რაც საზეიმო სხდომით დასრულდა. სხდომაზე მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ: ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, სტუდკავშირის ყოფილი ხელმძღვანელები, მოწვეული სტუმრები და უკვე ცნობილი პოლიტექნიკური მოღვაწე ვეტერანი სტუდკავშირელები. სტუდკავშირის თანადგომისა და განსაკუთრებული წვლილისათვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, უნივერსიტეტის თანამშრომლები დიპლომებით დააჯილდოვეს.

ეს იუბილე განსაკუთრებული საზეიმო იერსახით იმიტომაც გამოირჩეოდა, რომ 1990 წლის 18 დეკემბერს სწორედ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არამარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი სტუდენტური კავშირი შეიქმნა. არსებული, დრომოჭმული კომკავშირის დავალებების შესრულებას, ახალგაზრდებმა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლა არჩიეს.

დღეს სტუდკავშირის „ვეტერანები“ 90-იან წლებს ასე იხსენებენ: „ჩვენი შეხვედრები არალეგალური იყო“.. „სხვადასხვა აქციები ჩვენი ცხოვრების წესად იქცა“... „ჩვენ სხვა ქვეყნების სტუდენტური კავშირების გამოცდილებას ვიზიარებდით“...





და გაიზიარეს კიდეც. დღეს სტუ სტუდკავშირი ერთ-ერთი მძლავრი ორგანიზაციაა, ყოველთვის მოძრავ, სიცოცხლით სავსე და ბობოქარ თაობას პროგრესის ძალა მუდამ რომ თან სდევს, სიახლეების არასდროს შეშინებია.

სტუ დიდი საბჭოს 250 წევრიდან 50 სტუდენტია. ეს ბევრს ნიშნავს. არის საკითხები, სადაც მათი სიტყვა გადამწყვეტია. ახალგაზრდობა ცდილობს აქტიურად ჩაერთოს უნივერსიტეტის საქმიანობაში.

— ჩვენ უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის ერთად ვილვწით, განაცხადა სტუ რექტორმა ბატონმა **რამაზ ხუროძემ.**

„გეპეელი“

## როდესაც წარსულს ნიჩბით და ფუნჯით უახლოვდები

1943 წელს შეტევაზე გადასული საბჭოთა არმია უხიდოდ დარჩენილ მდინარე დნეპრს მიადგა. მეომრებს იერიშზე გადასვლის ბრძანების შეცვლა არ შეეძლოთ. იმ დროს ჯერ კიდევ უცნობმა ქართველმა არქიტექტორმა ირაკლი ციციშვილმა დნეპრზე ხიდი 4 დღეში ააგო. ამისთვის მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

როდესაც ბატონ ირაკლის გმირობის ამბავი შევახსენე, მან მორიდებით მიპასუხა:

— ომში ყველაფერი აფექტით ხდება. ყველაფერს ისე აკეთებ, შედეგად ჯილდოს სულაც არ ელი. ჩემი დამსახურება საერთო შემართების შედეგი იყო. ნამდვილი გმირობა კი დღევანდელი, ყოველდღიური, უპირობო ცხოვრების გაძლებაა. სამწუხაროდ, ჯილდოს ცხოვრებისთვის არავის აძლევენ.

ჯილდო არც იმ ხალხისთვის მიუციათ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცალ ხელში ხმალამოწვდილი მტერს იგერიებდა და მეორე ხელით კი ეკლესია-მონასტრებს აშენებდა.

წარმოუდგენელია ბერძნული კლასიკის, იტალიის, საფრანგეთის არქიტექტურის მნახველი ქართული ხუროთმოძღვრებით გააკვირვო, მაგრამ ჩვენს სიძველეს უცხოელები მაინც აღფრთოვანებით შესცქერიან. გაოცებას მხოლოდ ის იწვევს, ეს მცირერიცხოვანი ერი გაუთავებელ ომს და აღმშენებლობას ერთად როგორ ათავსებდაო. ეს, ალბათ, იმ პატრიოტიზმის „ბრალია“, ქართველი ერი ერთხელ რომ „მოიწამლა“ და დღემდე მოსვენებას რომ არ აძლევს. მივლინებით მსოფლიოს 31 ქვეყანა შემოვიარე. სადაც უნდა წავსულიყავი, უკანდაბრუნებულს, თეთრი თმფრინავიდან კავკასიონის დანახვისას გული ისე მიცემდა, ენითამოუთქმელ ისეთ ბედნიერებას მანიჭებდა, რომელსაც სხვა ქვეყნის თვალუწვდენელ სიმდიდრეზეც არ გავცვლი.

**— ბავშვობაში ხატვის სიყვარული ხომ არ გაფიქრებინებდათ, რომ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარებდით?**

— თუმცა, სკოლაში სწავლისას ხატვით ვიყავი გატაცებული, მაგრამ თითქმის ყველა ჩემი მეგობრის არჩევანმა მეც ისე მიმიზიდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაბარება გადავწყვიტე. მაგრამ ადამიანს რაც გაწერია, იმას ვერ გაექცევი. ყველაფერი ისე აეწყო, რომ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

ინსტიტუტის დამთავრების სიხარული ბოლომდე ვერც აღვიქვი – 1941 წლის 23 ივნისს დიპლომი დავიცავი და პირდაპირ ფრონტზე წავედი.

**— საქართველოში დაბრუნებულს ომში მინიჭებული გმირობით რაიმე პრივილეგია თუ გამოგარჩევდათ?**

— საქართველოში დაბრუნებისთანავე სიმონ ჯანაშიამ სამუშაოდ აკადემიაში მიმიწვია, პარალელურად შემოქმედებითი მუშაობა პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც არქიტექტურის ფაკულტეტზე დავიწყე.

იმ დროს მცხეთაში არმაზის ხევის გათხრები მიმდინარეობდა. გათხრებში, როგორც ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი, მეც ვმონაწილეობდი. ნათქვამია, თეატრის სცენის მტვერს ვინც ერთხელ ჩაყლაპავს, ის მარადჟამს თეატრით არის „მოწამლულიო“. არქეოლოგიაზეც იგივე ითქმის. მიუხედავად იმისა, რომ სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ ამ რაიონში არქეოლოგიური გათხრები აღარ გვიწარმოებია, ჩემი სამშობლოს სამარხების მტვრით ერთხელ „მოწამლულმა“ არქეოლოგიით გატაცებულმა მთელი ცხოვრება გავატარე და როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცა, თითქმის 50 წლის შემდეგ, გათხრები ისევ აღვადგინეთ. როდესაც წარსულს ნიჩბით და ფუნჯით ნელ-ნელა უახლოვდები, როდესაც საუკუნეების დაფლული საიდუმლოება შენ თვალწინ მიშვლდება, როცა შენი წინაპრის, შენი სისხლისა და ხორცის ძვლებს ხელით ეხები, სამშობლოს სიყვარული გიათმაგდება, შენი ქვეყნისადმი მეტ პატივისცემას გრძნობ და მის წინაშე მუხლის მოდრეკა გინდება.

**— სამშობლოსადმი, მისი სიძველეებისადმი ასეთი სიყვარული და პატივისცემა თუ აქვს ახალ თაობას?**

— ჩემი პედაგოგობის პერიოდში ბევრი კარგი სტუდენტი გამოვზარდეთ,



მათი ხელით საქართველოსთვის ბევრი სასიკეთო პროექტი განხორციელებულა, მაგრამ როგორც არქიტექტორი, ქალაქის დღევანდელი განაშენიანების შემხედვარე, გაოცებული ვრჩები. სამწუხაროდ, „ფეშენებელურ“ სახლებს ის დახვეწილობა და გემოვნება აკლია, რომელიც სტანდარტიზებული საბჭოეთის დოგმებიდან გათავისუფლებულ არქიტექტორებს ევალებათ. და რაც ყველაზე მთავარია, მიძნელდება ისეთ პიროვნებას ვუწოდო პატრიოტი, რომელიც თავისი სახლის ბეტონის კედლებით ისტორიულ ძეგლებს ჩრდილავს.

იხ. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 7. ოთხშაბათი. 10 იანვარი. 2001 წელი.

„გეპეელი“

# როდესაც წარსულს ნიჩბით და ფუნჯით უახლოვდები

(მეხუთე გვერდიდან)

რაც თბილისში ბოლო 2-3 წელიწადში გაკეთდა, მსგავსი არასდროს გაკეთებულა. დამახინჯებულ ხედს ხომ მომავალ თაობას ვუტოვებთ. 40-იან წლებში საბჭოთა კავშირის გმირს პაპანინს პრემიად 25000 მანეთი მისცეს. მანაც ქალაქგარეთ ორსართულიანი აგარაკი აიშენა. ვიღაცამ სტალინთან დაასმინა. ერთი სატელეფონო ზარი აღმოჩნდა საკმარისი, რომ მსგავსი რამ მეორედ აღარ განმეორებულიყო.

– გმადლობთ, რომ ბავშვებისთვის ასეთი კარგი ბაღი აგიშენებიათ, – უთხრა სტალინმა.

**– ბოლო წლებში გამეფებული მეცნიერებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, მეცნიერული შრომის დაუფასებლობა გამოიწვევს თუ არა თაობის კარგვას?**

– ომიდან როცა დავბრუნდი, აკადემიაში დავიწყე მუშაობა. იქ ერთ ოთახში ვისხედით: სიმონ ყაუხჩიშვილი, კორნელი კეკელიძე, ჯონი წერეთელი, გიორგი მელიქიშვილი, ირაკლი აბაშიძე. მათთან საუბარი ბევრს მაძლევდა და სულიერად ვისვენებდი. დღეს ასეთი მეცნიერების რიცხვი შემცირდა. საარსებო მინიმუმის შოვნას გადაგებული ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ნაკლებად იცლის. სახელმწიფომ ასეთ ხალხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. თვით სამხრეთ აფრიკის ბანდუს ტომიც კი, რომელიც თიხის ჭურჭლის კეთებაში იყო დახელოვნებული, როცა მეზობლებმა შეავიწროვეს და ჩვეულ გარემო პირობებს მოაშორეს, გადაეჩვია, ის ერთადერთი საქმიანობა, გადაავიწყდა. არ მინდა საქართველომაც ბანდუს ტომის ბედი იწვნიოს. მინდა სიწყნარე იყოს და ისეთი ცხოვრება, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე არ ვიფიქრო, რაც კიდევ შემიძლია (4 წიგნი მაქვს დასაწერი), შთამომავლობას დავუტოვო.

**ჩვენი შეხვედრის დღეს ბატონმა ირაკლიმ ხელფასი აიღო. მთელი სემესტრის საათობრივი დატვირთვის ანაზღაურებამ, პენსიამ და ერთი თვის ხელფასმა 140 ლარი შეადგინა.**

**იყო დრო, როცა ათჯერ მეტს ვიღებდიო, დანანებით ჩაილაპარაკა – მერე მე მომიბრუნდა.**

**– ფული მქონდეს, არქეოლოგიურ გათხრებს დავიწყებდი.**

ესაუბრა
**ნინო ჩიქობავა.**

მატიანე

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი XX საუკუნის პირმშოა. იგი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში დაარსდა და დღევანდელი გადასახედიდან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, საზოგადოებრივ-კულტურული აღმშენებლობის თანამდევია, მნიშვნელოვანწილად ამ ყველაფრის შინაარსის განმსაზღვრელიც.**

**ახლა, XXI საუკუნის დასაწყისიდან სხვაგვარად აღიქმება და გაიაზრება ის დიდი და ბობოქარი გზა, რომელიც პოლიტექნიკური ფაკულტეტის დაარსებით დაიწყო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაფუძნებამდე მოვიდა.**

**დიდი ილიას ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, წარსულმა აწმყოს რაობაც უნდა დაგვანახოს და მომავლის განჭვრეტაც შეგვაძლებინოს.**

**ამიტომ, ძვირფასო მკითხველო, მოდით კიდევ ერთხელ, ახლა უკვე საუკუნეთა გზასაყარიდან გადავხედოთ სტუს განვლილი გზას, რათა უკეთ გავიაზროთ, რანი ვიყავით, რანი ვართ და საით მივდივართ... ანუ რანი გავხდებით.**

## წარსულმა აწმყოს რაობაც უნდა დაგვანახოს

### 1922 წელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტის პირველი სხდომა 16 იანვარს გაიმართა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტს სამი განყოფილება ჰქონდა. სამშენებლო განყოფილებაზე მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრა შეიქმნა, რომელსაც ნიკოლოზ მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. მისი პირველი გამგე პროფესორი გიორგი მუხაძე იყო. კათედრის წევრთა მიერ დამუშავდა თაღოვანი კამხლების გაანგარიშების თეორია და სივრცითი სისტემების სეისმომედეგობის კვლევას ჩაეყარა საფუძველი.

პირველ სასწავლო წელს პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე 182 სტუდენტი შემოვიდა. ფაკულტეტმა არსებობის პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდებში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე შესვლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ უკვე 1922 წლის სექტემბრიდან აუცილებელი გახდა მისაღები გამოცდების შემოღება (უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები არ არსებობდა, აბიტურიენტების დიდი რაოდენობის შემთხვევაში ჩარიცხვა ატესტატების კონკურსით ხდებოდა). პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე საკონკურსო საგნები იყო: ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია.

სამშენებლო ფაკულტეტზე არქიტექტურის სპეციალობა ჩამოყალიბდა, რომელიც იმ დროს სამოქალაქო ხუროთმოძღვრების სახელით იყო ცნობილი.

დაიწყო ინჟინერ ჰიდროტექნიკოსების მომზადება. თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი რვა კურსდამთავრებულიდან სამი ინჟინერ-ჰიდრომშენებელი იყო.

ახლადშექმნილ სამთო-ქიმიურ განყოფილებაზე პროფესორმა ა. ბენაშვილმა გეოდეზიისა და ასტრონომიის კათედრა დააარსა, რომელიც დღეს სამარკშეიდერო საქმისა და საინჟინრო გეოდეზიის კათედრის სახელს ატარებს.

ნიკოლოზ თევზაძეს საინჟინრო გეოდეზიაში ორიგინალური ათტომეულის შექმნისათვის, გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სამთო-ქიმიურ განყოფილებაზე სამთო ხელოვნების კათედრა დაარსდა, რომელიც დღეს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების სახელითაა ცნობილი. მისი პირველი გამგე პროფესორი გრიგოლ წულუკიძე იყო. მის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები მრავალ ენაზე ითარგმნა.



ამავე წელს დაიწყო ინჟინერ მექანიკოსთა მომზადება, რომელსაც პროფესორი გიორგი გედევანიშვილი ჩაუდგა სათავეში. ქართულმა სამეცნიერო სკოლამ მანქანათმშენებლობის დარგში მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, იაპონიაში, ჩინეთსა და უცხოეთის სხვა ქვეყნებში გამოიცა ათამდე მონოგრაფია და ასზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომი. გაიყიდა 4 ლიცენზია.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კურსს კითხულობდნენ მათემატიკური სკოლის ფუძემდებლები ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე.

საქართველოში სივრცითი ფიგურების სიბრტყეზე ასახვის გრაფიკული მეთოდების მეცნიერული კვლევა და საინჟინრო ტექნიკური კადრების მომზადება 1922 წლით თარიღდება. პირველი სახელმძღვანელო მხაზველობით გეომეტრიაში ცნობილ მეცნიერს გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნის.

გიორგი ნიკოლაძის სახელს უკავშირდება 1922 წელს პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე სპორტის მოყვარულთა წრის დაარსება.

### 1923 წლის 28 აგვისტო.

გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით პოლიტექნიკური ფაკულტეტის თვრამეტმა სტუდენტმა მყინვარწვერი დალაშქრა. ეს დღე საქართველოში ალპინიზმის დაარსების თარიღად მოიხსენიება.

### 1924 წელი

პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამთო-ქიმიურ განყოფილებაზე გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე ჩაუდგა.

უმაღლესი ტექნიკური განათლების დაფუძნებისთანავე მწვავედ დადგა სტუდენტების ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. აუცილებელი გახდა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავება, რაც გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით შესრულდა.

სასწავლო ლიტერატურის შექმნის მიზნით, სტუდენტთა საზოგადოება სტეკლოგრაფით ლექციების კონსპექტებს ამრავლებდა.

ამავე წელს ინდუსტრიულ ინსტიტუტში თანამშრომელთა მეცნიერული შრომების და სასწავლო მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად, თავისი საბეჭდი საამწყობო ფოტოოფსეტური და საამკინძაო საამქროებით სტამბა დაარსდა.

(გაგრძელება იქნება).

ფაკულტეტი

# კავშირი მსოფლიოსთან ტექნიკური უნივერსიტეტიდან იწყება



ქართველოში ოპტიკურ-ციფრული გადაცემის კაბელის დასამონტაჟებელ სამუშაოებზე კონტროლის უფლება სამუშაოს რთული სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხოელებმა ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის კურსდამთავრებულებს და ფაკულტეტის თანამშრომლებს ანდეს.

ამ დარგის სპეციალისტებს საქართველოში წლების მანძილზე ტექნიკური უნივერსიტეტი ამზადებს. დარგში მომხდარი უსწრაფესი ევოლუციის შედეგად კავშირგაბმულობის ფაკულტეტი მეტი პასუხისმგებლობის წინაშე დადგა. საჭირო გახდა უახლესი მეცნიერული მიღწევების გაცნობა და ამის შემდგომ, სასწავლო პროცესების ისე წარმართვა, როგორც ეს მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია მიღებული. ფაკულტეტი ე. წ. ინგლისური საინჟინრო განათლების სტილზე ერთ-ერთი პირველი გადავიდა და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლაბორატორიებით უზრუნველყოფილ აუდიტორიებში სტუდენტთა სიმცირე არსად შეიმჩნევა.

XVI კიდევ მე-15 საუკუნის მიწურულს იტალიელი ფერმწერი ლეონარდო და ვინჩი წინასწარმეტყველებდა: „ადამიანები ერთიმეორეს დაელაპარაკებიან და პასუხს გასცემენ შორეული ქვეყნიდან შორეულ ქვეყანაშიო“. მხატვრის წინასწარმეტყველება სამი საუკუნის შემდეგ მართლაც ასრულდა და რუსეთში შილინგმა პირველი ტელეგრაფი აამუშავა.

ინფორმაციის როლი XX საუკუნის მიწურულს იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ინფორმატოლოგია მეცნიერების ცალკე დარგადაც ჩამოყალიბდა. ინფორმაციაზე მოთხოვნილების გაზრდამ კი, თავისთავად, კავშირგაბმულობის დარგი განავითარა და პერსპექტიული გახადა. ნებისმიერი პროდუქციის, ნივთის შესაძენად ადამიანი ოდითგანვე ფულს იხდიდა, დღეს მათ რიცხვს ინფორმაციაც დაემატა.

ყველა სიკეთესთან ერთად აღნიშნული დარგი ბიზნესის თვალსაზრისითაც მომგებიანი შეიქნა და სახელმწიფოთა ბიუჯეტს სოლიდური მოგებაც მოუტანა.

გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, კავშირგაბმულობის სისტემა ჩვენთანაც დღენიადაგ ვითარდება.

ცნობილია, რომ საქართველომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბოლო ათწლეულში უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა უმოკლესმა გზამ სწორედ აქ გაიარა. ნავთობისა და გაზსადენების გაყვანასთან ერთად, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უახლესი ტექნოლოგიით შექმნილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ციფრული გადაცემის კავშირგაბმულობის – „ტრანსაზია-ევროპის“, ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალი (ფრანკფურტი – შანხაი) კაბელიც დამონტაჟდა, რომელიც როგორც ჩვენთან, ისე მსოფლიოს მასშტაბით, ძვირადღირებულ ელექტროგადაცემის სადენებს შეცვლის, იგი არ შეიცავს ძვირადღირებულ სპილენძს და დამზადებულია დედამიწაზე ყველაზე უფრო გავრცელებული მასალის, – სილიციუმის ბაზაზე. საქართველოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული სადენის მეშვეობით ევროპასა და აზიას შორის ინფორმაციული ნაკადის მიწოდების რაოდენობა, სიჩქარე და ხარისხიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო პროექტში საქართველოს ჩართვამ მას უდიდესი მისიაც დააკისრა. საჭირო შეიქნა კვალიფიციური კადრების მომზადება, რომელიც უახლესი მეცნიერული მიღწევების შედეგად შექმნილ ტექნიკას საქართველოს ტერიტორიაზე გაუწევენ ექსპლუატაციას. უცხოელები ჩვენგან მხოლოდ მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებულ კადრებს ითხოვენ. რეალობიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში, ისევე როგორც კავშირგაბმულობის როლი გაიზარდა, მოთხოვნილებამ კვალიფიციურ კადრებზეც იმატა.

აღსანიშნავია ერთი ფაქტორი. საკავშირგაბმულობის სისტემის როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად აფორმებენ ხელშეკრულებებს მაღალკვალიფიციური კადრების მიზნობრივად მოსამზადებლად. აქ მიმდინარე გაძლიერებული სასწავლო პროცესის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მოთხოვნა ყოველწლიურად მატულობს. სატელეკომუნიკაციო სისტემებში მომუშავეთა შორის ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა რიცხვი კი დღითი დღე იზრდება. ეს კი იმის შედეგია, რომ სტუდენტს სწავლის დასაწყისშივე გაცნობიერებული აქვს, რომ სამუშაო ადგილის მოსაპოვებლად მას ტესტირების გავლა მოუწევს და წარმატების შემთხვევაში მაღალხელფასიან სამსახურში იმუშავებს. სტუდენტები ერთმანეთის კონკურენტები არიან. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდის მიერ ტექნიკურ უნივერსიტეტში მეტი ცოდნის მიღებას.

საერთაშორისო საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაციების კათედრის გამგემ ბატონმა ჯანო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ყოველწლიურად ევროპაში იგზავნებიან. რამდენიმე მათგანმა სწავლა ინგლისის და ირლანდიის ანალოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრატურაში გააგრძელა. ფაკულტეტის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ სატელეფონო კომპანია „ჯეოსელმა“ თავისი ერთ-ერთი საბაზო სადგური სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიაში განათავსა, რომელსაც კათედრის თანამშრომლებიც ემსახურებიან. ფირმასთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თანამედროვე საკომუნიკაციო დანადგარებს ადგილზე გაეცნონ და ამით თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც დაეუფლონ.

ასე რომ, მოარული ფრაზა: „კავშირი მთელ მსოფლიოსთან“ საქართველოსთვის სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტიდან იღებს სათავეს და ის ძლიერი საგანმანათლებლო ტრადიცია, რომელიც აქ გრძელდება, მსოფლიო ტექნიკური ევოლუციის მოთხოვნებს ესადაგება.

**ნიკა ბრეგვაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გვეხმაურებიან

# წერილი სლოვაკეთიდან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად გაზეთ „აღმშენებლის“ ინტერნეტის ქსელში განთავსებით საზღვარგარეთ მცხოვრებ ბევრ „გეპეიდამთავრებულს“ მისი წაკითხვის საშუალება ეძლევა. ნუგზარ ტალიკაძე ერთი იმათგანია, რომელმაც საქართველო 70-იან წლებში დატოვა და საცხოვრებლად სლოვაკეთში გადასახლდა.

გაზეთ „აღმშენებლის“ აგვისტოს ნომრის „გეპეელის“ რუბრიკა სტუ ყოფილ რექტორს იოსებ ბუაჩიძეს დაეთმო. როგორც ჩანს, იგი „საზღვარგარეთელმა“ „გეპეელებმაც“ გაიხსენეს და მოგონებებიც აღუძრეს. ამის გამოხატულებად იქცა ნუგზარ ტალიკაძის წერილი, რომელიც მან სლოვაკეთიდან ბატონ იოსებ ბუაჩიძეს გამოუგზავნა.

გამარჯობა, ბატონო სოსო!

თქვენთვის წერილის მოწერა დიდი ხანია მინდოდა. გუშინ კი ინტერნეტში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველთვიურ დამატება-„აღმშენებელში“ თქვენთან ინტერვიუ წავიკითხე. ხელი კალმისკენ გამექცა. ძვირფასი სახეების ჰლეადა ამოცურდა და ახლა საყვარელი „გეპეი“ მთელი სიცხადით გავიაზრე.

1959 წელს 18 წლის ახლადწვერაშლილი ჭაბუკი „გეპეის“ ქიმიური ფაკულტეტის არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის სპეციალობაზე სიით პირველი ჩავირიცხე. ჩემი ჯგუფის ნომერი დღესაც მახსოვს (№ 493). დიპლომი 1964 წლის დეკემბერში დავიცავი და 10 წელი საქართველოში გაერთიანება „საქყოფქიმიის“ ცენტრალური ქიმიური ლაბორატორიის უფროსად ვიმუშავე.

ეს წლები შემოქმედების წლები იყო. შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვედი და სლოვაკეთში დავსახლდი. აგერ უკვე 25 წელიწადია, რაც ქიმიკოსად ვმუშაობ. თქვენ, როგორც ჩემს პედაგოგს, გეტყვით, რომ ბევრის გაკეთებაც მოვასწარი, განსაკუთრებით, მეტალის ზედაპირის ქიმიურად დამუშავების ტექნოლოგიაში. წარმატება, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი პედაგოგების დამსახურებაა. დღესაც დიდი სითბოთი მახსენდებიან ჩემი მასწავლებლები პროფ. გიგაძე, დოც. ჩაგუნავა, პროფ. კაკაბაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ლანდია, დოც. გაგნიძე, პროფ. ერისთავი და სხვები. მადლიერების გრძნობა დამრჩა ამ წამყვანი პედაგოგების მიმართ. მათ ჩემში პროფესიონალის (თუ ასეთი ვარ) თვისებები ჩამოაყალიბეს.

მახსენდება თქვენთან ჩემი პირველი შეხვედრა. 1962 წელს მაშინდელმა ჩვენმა დეკანმა ხელოვნურად გაბერილი აკადემიური ჩამორჩენის იარლიყით წარმადგინა თქვენს წინაშე და ჩემი კურსზე დატოვება მოითხოვა. ჩემთვის ყველაზე მძიმე იყო იმის წარმოდგენა, თუ რა თავზარდამცემი იქნებოდა ეს ამბავი დედაჩემისთვის. პირველ-მეორე კურსზე წარჩინებული სტუდენტი ვიყავი, მაგრამ იმ წელს ბებია-ბაბუა გარდამეცვალნენ. ჩემთვის ეს დიდი დარტყმა სწავლაზეც აისახა. ეს მიზეზი, ჩემდა გასაკვირად, დეკანმა სახაცილოდ აიგდო.

თქვენი კაბინეტი სავსე იყო პროფესორ-მასწავლებლებით და ჩემს უბედურებაზე საუბარი მალიან მეუხერხულებოდა. თქვენ ჩემი დარდი ადამიანურად გაიზიარეთ და საგნების ჩასაბარებლად დრო მომეცით. თქვენმა თანადგომამ შემართება დამიბრუნა, დარჩენილი ორი საგანი დროულად ჩავაბარე და ნორმალურ რიტმში ჩავერთე.

ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო!

ღვთის მადლი არ მოგკლებოდეთ. გეცხოვროთ მხნედ და თქვენი დაბადების 100 წელი თქვენს მოწაფეებს, თქვენს ოჯახს, მთელ „გეპეის“ აღენიშნოს.

საქართველოს გამრავლებოდეს თქვენისთანა პედაგოგები.

საუკეთესო სურვილებით

**ნუგზარ ტალიკაძე.**

**სამწუხაროდ, ბატონი ნუგზარის მისამართი ვერ დავადგინეთ. ამიტომ აქვე ვბეჭდავთ იოსებ ბუაჩიძის პასუხს, რომელსაც იმედია, კვლავ ინტერნეტის მეშვეობით გაეცნობა ნუგზარ ტალიკაძე.**

ბატონო ნუგზარ!

დიდ მადლობას გიხდით გულახდილობისთვის. ძლიერ მესიამოვნა პროფესიული წარმატებები, ოჯახური ბედნიერება საქართველოდან შორს მდებარე სლოვაკეთში.

არ დაგვეივიწყებინოთ საქართველო და პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მისი ძველი და ახალი წამყვანი კადრები, რომელთა უმწიკვლო შრომა საამაყო იყო წარსულში და საამაყოა დღესაც, ყველა მათთვის, ვისაც უყვარდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და არა ნაკლებ უყვარს მისი წარმონაქმნი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

გისურვებთ ჯანმრთელობას მთელ თქვენს ოჯახს, წარმატებებს თქვენს საქმიანობასა და მოღვაწეობაში, დიდხანს სიცოცხლეს, დაუვიწყარი საქართველოს მარადიულ სიყვარულსა და მისი აღორძინების სურვილს.

**იოსებ ბუაჩიძე.**

## შთაბეჭდილება

### პარიზის მუზეუმები

პარიზში ჩასული ადამიანი მუზეუმების და ისტორიული ადგილების შესახებ ზუსტ ინფორმაციას ცნობარით ღებულობს. იგი ტურისტულ ბიუროებში იყიდება და მისი მფლობელი ურიგოდ და უფასოდ 70 მუზეუმის, ისტორიული ადგილების ნახვის უფლებას აძლევს. 18 წლამდე ახალგაზრდა მუზეუმში შესასვლელ ბილეთს არ ყიდულობს. 18-25 წლამდე კი ბილეთის ღირებულების ნახევარს იხდის. ყოველი თვის პირველ ან ბოლო კვირას მუზეუმში შესვლა ყველასათვის უფასოა, ხოლო დღის მეორე ნახევარში ლუვრის მუზეუმში შესასვლელი ბილეთის ღირებულება განახევრებულია.

სახალხო დღესასწაულების დროს, მაგალითად, 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, ყველა მუზეუმისა და თეატრის, თვით გრანდ ოპერის კარი ყველასათვის ღიაა და შესვლა თავისუფალია. ბასტილიის მოედანზე მდებარე ბასტილიის ოპერა კი მაყურებლისათვის უფასო წარმოდგენას მართავს.

პარიზის მუზეუმებს შორის დიდი პოპულარობით ლუვრის მუზეუმი სარგებლობს. ლუვრი თავდაპირველად ციხე-სიმაგრე იყო. ის 1204 წელს ფილიპ ავგუსტის დროს აშენდა. მოგვიანებით, მეფე შარლ V სამეფო რეზიდენციად გადააქცია.

ლუვრი ხელოვნების მუზეუმად 1791 წლის 16 მაისის დეკრეტით გამოცხადდა და იმ დღიდან მოყოლებული განუწყვეტლივ ახალ-ახალი კოლექციით ივსება.

ლუვრის მუზეუმის კანონით ცოცხალი ხელოვანების ნამუშევრის გამოფენა იკრძალება. ამის მიუხედავად, ერთ მწერალს მაინც მოუხერხებია ცოცხალი მოქანდაკის ნამუშევრის გამოფენა. ეს ასე მომხდარა:

1900 წლების დასაწყისში, მონმარტრის კაფეები ლიტერატორთა და ხელოვანთა თავშეყრისა და ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. აქ ისინი ქმნიდნენ და წერდნენ, ძერწავდნენ და ხატავდნენ.

# რამაც საფრანგეთში გამაკვირვა

ერთ დღეს როლან დორჟელესს თავისი მეგობრის ბურონისათვის უთქვამს, შენი ერთერთი ქანდაკება მინდა ლუვრში გამოვფინოო.

— შეუძლებელია, — უპასუხია ბურონს, — ლუვრი ცოცხალი ხელოვანის ნამუშევრის გამოფენას არასდროს მოაწყობსო.

— ვნახოთო, — მიუგო თურმე როლან დორჟელესმა. მან თავისი მეგობრის სახელოსნოში ერთი ქანდაკება შეარჩია, რომელსაც „ქალის თავი გატეხილი ცხვირით“ ერქვა და ლუვრში ადგილის შესათვალიერებლად წავიდა. სახლში დაბრუნებულმა ლუვრის ეტიკეტის მსგავსი პატარა ეტიკეტი მოამზადა. ნომერიც „მიაკუთვნა“ და წარწერაც: „402, ღვთაებრივი თავი“.

მეორე დღეს, როლან დორჟელესმა მოხერხებულ დროს ლუვრში ქანდაკება ჩუმად შეიტანა, წინასწარ შერჩეულ ადგილას დადგა და ეტიკეტიც მიამაგრა.

დღე დღეს მისდევდა, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა. გავიდა რამდენიმე თვე. დორჟელესმა და მისმა მეგობრებმა ლუვრის მუზეუმში ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები მიიწვიეს.

— ამ მუზეუმში ყალბი ნამუშევრებია გამოფენილი! — წამოიყვირა დორჟელესმა და ქანდაკებაზე მიუთითა:

— აი, ერთ-ერთი მათგანი, აქ ხალხს დასცინიან!

დარბაზის მეთვალყურე გაოცდა. მან უფროს მეთვალყურეს უხმო. მან კი თავის მხრივ, კიდევ უფროს მეთვალყურეს შეატყობინა ეს ამბავი...

მიუხედავად ყველაფრისა, ბურონის ქანდაკება ლუვრში იმ ადგილას დარჩა, სადაც როლან დორჟელესმა დადგა. ეს იყო ანტიკური საბერძნეთის დარბაზი.

ამ ფაქტის აღსანიშნავად, მონმარტრზე დიდი ზეიმი მოეწყო. ორმოცი წლის შემდეგ, უკვე ცნობილი მწერალი როლან დორჟელესი ლუვრს ესტუმრა. ლამაზი ქალის თავის ქანდაკება ისევ იმ ადგილზე იდგა.

ეს პატარა ხუმრობა ხალხისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ლუვრის დასათვალიერებლად შესულმა კაცმა, კიდეც რომ იცოდეს ეს ამბავი, ლუვრში იმდენი საინტერესო ექსპონატია სანახავი და მიღებული შთაბეჭდილება ყოველთვის ისეთი დიდია, რომ არც კი გაახსენდება ამ ქანდაკების მოძებნა და ნახვა.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „აღმშენებელი“ №10, 2000 წ.**



**ეთერ ბეჟანიშვილი.**

## მეცნიერება

# ბუნების სასწაული?..

**ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით II ათასწლეულში არგონავტებზე შექმნილ უძველეს ბერძნულ მითს საფუძვლად ოქროს საწმისის მოპოვების ისტორია დაედო. ზოგისთვის ოქროს საწმისი გაზღაპრებული ვერძის ოქროსთმიანი ტყავია, მეცნიერებისთვის კი, ვერძის ტყავზე დაწერილი ოქროს მოპოვება-დამუშავების ტექნოლოგია.**

ოქრო — საუკუნეების მანძილზე ყველა ერისთვის ძვირფასი ლითონი იყო, ლითონი, რომლითაც ყველა და ყველაფერი იყიდებოდა. ასე რომ, ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა განძის მოსაპოვებლად ნამდვილად ღირდა. მაგრამ არგონავტებს კოლხეთიდან მხოლოდ ოქროს საწმისი არ წაუღიათ. მათ თან იასონზე „ერთი ნახვით გამიჯნურებული“ მედეაც გაჰყვა. ქალი, რომლის სასწაულმოქმედი სამკურნალო მცენარეების ბალები, ბალახეული, წამლები, არა მარტო ძველი კოლხეთისთვის, არამედ იმ ეპოქის ქვეყნებისთვისაც კარგად იყო ცნობილი.

იქნებ არგონავტები მხოლოდ ოქროს საწმისმა არ მიიზიდა? მედეას წამლების ჯადოსნური ძალა, დღეგრძელი კოლხები, — აი, მეორე და არანაკლებ მთავარი მიზეზი არგონავტების საქართველოში „სტუმრობისა“. ოქრო და — „ჯანმრთელად, დიდხანს სიცოცხლე“, კაცობრიობის უმთავრესი მიზანი, რომელსაც ქართულ სადღეგრძელოებში ერთმანეთისთვის დღესაც უხვად ვიმეტებთ.

მართალია, არგონავტებმა მედეა საბერძნეთში ჩაიყვანეს, მაგრამ მიაღწიეს კი დღეგრძელობას? არის მოსაზრება, რომ წამლების „ჯადოსნურობა“ მხოლოდ იმ მცენარეების დამსახურება იყო, რომელიც კოლხეთის დაბლობზე იზრდებოდა. ამას ერთი ფაქტი განაპირობებდა. გამყინვარების მეოთხეულ პერიოდში დედამიწის გაუყინავად დარჩენილი მიწის მცენარეულ საფარს მესამეული პერიოდის ბიოენერგიული ინფორმაცია შემორჩა. ასეთ ადგილებს ტორსიულ ველებს უწოდებენ. მეცნიერების აზრით, გაუყინავ ადგილებზე მზისა და კოსმოსის ზემოქმედებით დედამიწაზე ისეთი ფიზიკური მოვლენები მიმდინარეობდა, რომელიც საფარის თვისებებს რამდენიმეჯერ აუმჯობესებდა. ბუნების ამ მოვლენაზე ყურადღება ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში გაუმახვილებიათ და ცდა, მცენარეების ნაცვლად, ლითონზე ჩაუტარებიათ. ტორსიული ტექნოლოგიით დამუშავებული ლითონისგან უფრო გამძლე და მედეგი საომარი იარაღი მიუღიათ, ვიდრე ჩვეულებრივი დამუშავებით. აღმოჩენით გახარებულებს ტექნოლოგია საიდუმლოდ შეუნახავთ, იარაღს კი მხოლოდ განსაკუთრებული მჭედლები ამზადებდნენ. ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა.

ტორსიული ველი მსოფლიოში არც ისე ბევრია. კოლხეთის დაბლობზე კი დღესაც არის ის „კუნძულები“, რომლის მცენარეულ საფარს და მისგან დამზადებულ წამლებს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. ამ ტერიტორიის მცენარეების საიდუმლოება თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საქართველოში ტორსიული ტექნოლოგიები ჯერჯერობით უცნობია, მაშინ, როცა მსოფლიოში წამყვანი ქვეყნები ამ მოვლენას აქტიურად იკვლევენ; იკვლევენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოსახლეობის ინტენსიური მატება დედამიწის რესურსების სრულ გამოლევას გვიქადის. ტორსიულობის მოვლენა კი, მეცნიერების აზრით, საყოფაცხოვრებო თუ სამეცნიერო დარგის ნაწარმოებ პროდუქციას უფრო მეტ ხარისხს მატებს.

დადგება დრო და ამ ტექნოლოგიით დამუშავებული, მიღებული პროდუქციის შეძენა დროის აუცილებელი მოთხოვნა იქნება. პროდუქცია კი თავის მხრივ, გაცილებით ძვირი იქნება, ვიდრე დღეს ტექნოლოგიის დანერგვა.

ასე ფიქრობს აღნიშნული იდუმალების მცოდნე ხლავა შკრიაბაი, რომლისთვისაც „უცხო მეწამლეობა“ ბაბუას, ლასიკო ყურაშვილს უსწავლებია.

**ნინო ჩიქობავა**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 7. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 200[illegible] წელი.

## ტრადიცია



# რა — სიფრთხილეს თავი არ სტკივა?!

ადამიანებს თავაზიანობის გამოსახატავად უამრავი უცნაური ჩვეულება გამოუგონიათ.

ზოგიერთი ჩვევა მისალმებას უკავშირდება. დღეს ჩვეულებრივ კოცნით, ხელის ჩამორთმევით ვესალმებით. ეს ჩვეულებები დიდი ხნის წინათ დამკვიდრდა, მაგრამ თავაზიანობასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ბევრმა არც იცის, რომ ყოველივე სიფრთხილით ყოფილა გამოწვეული! დიახ, ადამიანმა არ იცოდა, რა განზრახვით მოდიოდა მასთან მეზობელი თუ ნათესავი, სამეგობროდ თუ სამტროდ. უფიქრია და ამგვარი ეშმაკობისთვის მიუმართავს: კარის ზღურბლს გადმობიჯებულ სტუმარს ხელს გაუწვდიდა, მარჯვენა ხელს კაცი ვერ გაგარტყამდა, თუ ეს ხელი მასპინძელს ეჭირა.

ერთმანეთს გაშლილი ხელისგულებით ეხებოდნენ და არა მუშტით, ხელს იმ ზომამდე გამოსწევდნენ წინ, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ტანსაცმელში დამალული იარაღის ხმარება. ეს ჩვეულებები დღემდე შემორჩა — ხელის ჩამორთმევისას ხელთათმანის წაძრობა, გაცნობისას ხელის გაწოდება.



ხელის ჩამორთმევა, როგორც პატიოსნებისა და წმინდა განზრახვის სიმბოლო, სპორტშიც დამკვიდრდა. შეჯიბრების დაწყების წინ მოკრივენი რინგზე ხელს ართმევენ, ხოლო ერთი წუთის შემდეგ ერთმანეთს მუშტებით უმასპინძლდებიან. ამით მოწინააღმდეგეები პირობას დებენ, რომ შეჯიბრი პატიოსნად წარიმართება.

საინტერესო სათავეები ეძებნება სუფრაზე სადღეგრძელოს შესმის შემდეგ ჭიქების მიჭახუნების ტრადიციასაც. ჭიქების მიჭახუნების ტრადიცია შოტლანდიაში მეორე ათასწლეულის დასაწყისში დამკვიდრებულა. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ იმ დროს არასასურველი ადამიანების თავიდან მოსაცილებლად ზოგიერთნი ლხინის დროს მალულად სასმისებში საწამლავს უყრიდნენ. ამ „ხერხით“ მოწამლვა ფართოდ გავრცელებულა.

იმ დროისთვის სკანდინაველები ღვინოს ლიტრიანი, დაახლოებით ლუდის კათხის მსგავსი სასმისებიდან სვამდნენ. დიდი ფიქრის შემდეგ შოტლანდიელები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: ერთმანეთის ნდობის მოსაპოვებლად დაეჭვების გასაფანტად, თანამეინახენი კათხებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ, ღვინის წვეთები და შხეფები ერთმანეთის კათხებში ირეოდა და ამ გზით მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ამ ტრადიციებმა შინაარსი იცვალა და თავაზიანობის გამოხატულებად იქცა, მაგრამ... წარსული მაინც გახსოვდეთ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**ნინო თათარაშვილი**

## სამყაროს საოცრება

# მკვდარი ზღვა - სიცოცხლის მისტერიული იდუმალება?

„მაშ ასე, ბატონებო, ჩვენ ვიმყოფებით სამყაროს ფსკერზე“ — გიდები ჩვეულებრივ, ამ სიტყვებით იწყებენ თავიანთ ექსკურსიებს მკვდარი ზღვის სანაპიროზე. ეს სანაპირო ყველაზე დაბალი ადგილია დედამიწის ზურგზე. იგი მსოფლიო ოკანეს დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს და იერუსალიმიდან ერთი საათის სავალზეა.

მკვდარ ზღვაში ლეგენდარული მდინარე იორდანე ჩაედინება. წყალი კი მისგან არსად გადის, განუწყვეტლივ ორთქლდება. ეს გარემოება კი ზღვის წყალში მარილის კონცენტრაციას უჩვეულოდ ზრდის.

ძველთაგანვე იუდეველები მკვდარ ზღვას მარილის ზღვას უწოდებდნენ. ხოლო „მკვდარი“ ამ ზღვას, ლეგენდის თანახმად, პირველად ჯვაროსნებმა უწოდეს.

XI საუკუნეში ჯვაროსანმა რაინდებმა იერუსალიმი დაიპყრეს და წმინდა მიწის სამხრეთისკენ გაემართნენ. მათი გზა იუდეის უდაბნოზე გადიოდა. წყურვილითა და ორმოცგრადუსიანი სიცხით გათანგული ჯვაროსნები უეცრად უზარმაზარ ტბასთან აღმოჩნდნენ. ისინი სიხარულის შეძახილებით გადაეშვნენ წყალში, დაეწაფნენ სიცოცხლის წყაროს, ორ წუთში კი ისე გარბოდნენ უკან, როგორც შავი ჭირისგან დაშინებულები. მარილიანი წყალი, პატარა ჭრილობაზე მოხვედრისასაც კი, აუტანელ ტკივილებს იწვევდა. ხოლო იმათ, ვისაც დაბანვა მოესწროთ, დამწვრობისგან თვალები დასწითლებოდათ.



ახლა ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად ჩასულ ტურისტებს აუცილებელი ინსტრუქტაჟი უტარდებათ. მაშველები მკაცრად კრძალავენ წყალქვეშა ცურვას. ყველაზე კარგია წყალზე ზურგით წოლა. ასე, უმოძრაოდ საათობით შეიძლება წყალზე წოლა. მკვრივი, ბლანტი წყალი სხეულს ჩაძირვის საშუალებას არ აძლევს. ამიტომ ზღვის ზედაპირზე... სიარულიც კი შეიძლება. როგორც კი ადამიანი წყალში შედის, უმალ გრძნობს, რომ ფეხქვეშ მიწა აღარაა, წყალია, მაგრამ ადამიანი ჩვეულებრივ განაგრძობს სიარულს... წყალზე.

საოცარი სანახავია მკვდარ ზღვაში პირველად შესული ადამიანი: იტალიელები აღტაცების შეძახილით, — „მამა მია“! გამოხატავენ უჩვეულო შეგრძნებას. გერმანელები დიდხანს დგანან ნაპირთან,... სრულიად დაბნეულები. მათ პუნქტუალურ და პედანტ გონებაში არაფრით თავსდება აზრი, რომ აქ დახრჩობა შეუძლებელია. ინგლისელებს კი საზეიმო და ღირსეული გამომეტყველება აქვთ.

მკვდარი ზღვის სამკურნალო თვისებებს ჯერ კიდევ უკვდავი კლეოპატრა იცნობდა. ზღვის წყლის შემადგენლობაში მაგნიუმი, კალციუმი, ბრომი და სხვა უამრავი ნივთიერებაა თავმოყრილი. არქეოლოგებმა ამ რაიონში, რაღაც კოსმეტიკური ფაბრიკის მსგავსი აღმოაჩინეს, რომელიც ეგვიპტის უკანასკნელ დედოფალს, იულიუს კეისრის საყვარელსა და მარკუს ანტონიუსის მეუღლეს, სილამაზით განთქმულ კლეოპატრას ეკუთვნოდა.

ზღვის წყალი კანზე საოცარ მოქმედებას ახდენს. ერთი კვირის ბანაობაც საკმარისია, რათა მოზრდილი ადამიანის კანი ჩვილი ბავშვის კანივით გახდეს.

მკვდარი ზღვის სანაპიროზე რევმატიზმს, ართრიტს, კანის სნეულებებს... მკურნალობენ. ზღვისპირა ჰაერი ბრომითაა გაჟღენთილი და ნერვულ სისტემაზე სასიკეთოდ მოქმედებს. იმასაც ამბობენ, რომ მკვდარი ზღვის წყალი და შავი ტალახი ადამიანს ახალგაზრდობას უბრუნებს. და თუ ეს მართლაც ასეა, დიდად უსამართლონი ვყოფილვართ ამ ზღვის მიმართ, რადგან ჯვაროსანთა „გაუაზრებლად“ შერქმეული სახელით მოვიხსენიებთ დღესაც... როგორი მკვდარია, თუკი სიცოცხლის იდუმალებას წარმოგვიჩენს?

— ან მკვდარი იმიტომ ხომ არ უწოდეს, რომ მკვდარში სიცოცხლის მისტერიის თავჩენის უტყვი მოწმეა?

**მაია რატიანი.**

## ალბომი



1955 წელი. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საახალწლო კარნავალის მზადება.

## სიბრძნის საუნჯეიდან

# ინტრიგა — რა არის იგი?

ინტრიგა ადამიანური ყოფის თანამდევი ფენომენია. მას ყველა ეპოქა მიიჩნევდა ნაკლად და მაინც... ვერ ელეოდა. ამის გამოა, ალბათ, რომ ინტრიგა ცოდნის ცალკე დარგად — ინტრიგოლოგიად ჩამოყალიბდა.

— ადამიანის ყოფა კირთებასთან კაცებრივი ჭიდილია.

— არასოდეს ვესწრაფი იმას, რისკენაც ყველა მიილტვის.

— შესვლა იქ მინდა, სადაც ვერავინ შედის.

ეს გამონათქვამები XVII საუკუნის ესპანელ ფილოსოფოსს გრასიან ბალთასარს ეკუთვნის. ამ დიდებულ მოაზროვნეს, ფილოსოფიაში ახალი მიმართულების — ინტრიგოლოგიის ფუძემდებელს ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს. არადა მისი ნააზრევი, მიუხედავად სამი საუკუნის სიძველისა, საოცრად ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას. ეს მცირე წერილიც მიზნად მის გაცნობას ისახავს.

გრასიან ბალთასარის კვლევა-ძიების ობიექტი ადამიანის ბუნების რაობაა. მისი ნაღვაწი საკითხისადმი მიდგომით იმდენად არატრადიციულია, ხოლო დაკვირვება იმდენად ახალი, ზუსტი და მძაფრი, რომ თამამად შეიძლება ითქვას, გრასიანის მოძღვრების სახით საქმე გვაქვს ახალ მეცნიერებასთან, რომელიც ადამიანს, უფრო ზუსტად რეგლამენტირებულ სიტუაციებში მის საჯარო ქცევას, სიტუაციისა და მისი მოქმედების სუბორდინაციას, ურთიერთგავლენას, (ინტრიგოლოგიას) იკვლევს. ამდენად, გრასიანი ჩვენი ეპოქისთვის უაღრესად აქტუალური მეცნიერების — ინტრიგოლოგიის ფუძემდებელია.

გრასიანი ესპანეთში კალატაუტის მახლობლად მდებარე სოფელ ბელმონტეში, ექიმის ოჯახში დაიბადა. მას სამი და-ძმა ჰყავდა. ბავშვობიდანვე ნიჭიერებით გამოირჩეოდა. განათლება მშობლიურ კალატაუტში მიიღო. ჯერ ფილოფოსიას დაეუფლა, შემდეგ თეოლოგიას, ახალგაზრდობაში მას მძიმე ხასიათი ჰქონდა, იმთავითვე ძალზედ არაორდინალური პიროვნება ყოფილა. ერთ მხედართმთავარს მან ემბლემა მოუგონა: შუბი, ჩუგლუგები, და ზარბაზნები ერთ კონად გველით შეკრა (გველი სიბრძნის სიმბოლო) დევიზიც შეთხზა: **vincit dum vincit** „იმარჯვებ სანამ აკავშირებ“.

მისი აზროვნების გამორჩეულად განსხვავებულობის გამო, იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც კი ჩამოაშორეს და სარაგოსადან შორს გადაასახლეს. ამის შედეგად „კრიტიკონის“ მაღრიდში გამოვიდა.

გრასიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა რაოდენობრივად დიდია და აზროვნების სიღრმე უკიდეგანო. ერთი პატარა წერილი და ისიც საგაზეთო, ცხადია, მისი ნაღვაწის თუნდაც ზოგად მიმოხილვას ვერ დაიტევს. ამიტომ მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ გრასიანის რამდენიმე მოსაზრებას მისი წიგნიდან — „კეთილგონიერების მეცნიერება“.

— იქონიე ცხოვრების მთავარ პრინციპად — ყველას სჭირდებოდე!

— სჯობს გთხოვდნენ, ვიდრე გიმადლოდნენ.. მოიკლავენ თუ არა წყურვილს, წყაროს ზურგს აქცევენ. გაწურულ ფორთოხალს ოქროს ლარნაკიდან ჭაობში გადააგდებენ.

გაჭირვების დასასრული მეგობრობის დასასრულიცაა და მასთან ერთად თანამსახურებისაც.

— ერიდე ზემდგომზე გამარჯვებას.

— გამარჯვება მოშულარის გაჩენას ნიშნავს. ბატონის ჯობნა კი უგუნურობაა, თანაც სახიფათო. უპირატესობა სიძულვილს იწვევს, განსაკუთრებით აღმატებულ ადამიანებში. გულმოდგინეობითა და მონდომებით საკუთარი უპირატესობის შენიღბვა ისევეა შესაძლებელი, როგორც სილამაზის დაფარვა უხეირო სამოსელით.

— ბევრნი, განსაკუთრებით ძლიერნი ამა ქვეყნისანი, სიამოვნებით დაგეთანხმებიან, რომ სხვებს წარმატებაში ან ნებისმიერ სხვა სფეროში ჩამორჩებიან, გარდა ჭკუისა. ჭკუა ყველა სიკეთეზე მეფობს. ჭკუის უმცირესი წყენაც კი მათი აღმატებულების შეურაცხყოფაა. ვინც მაღლა დგას, თვით ამ სიმაღლეზე მყოფთა შორისაც სურს პირველობა“, — მეფობა.

— გაფანტე ყურადღება! მით უფრო მტრული. ნუ შერჩები მოქმედების თავდაპირველ ხერხს. ერთფეროვნება ჩანაფიქრს გაამჟღავნებს, დროზე ადრე გამოააშკარავებს და კიდეც ჩაშლის. იოლი სწორხაზოვნად მფრინავი ჩიტის ჩამოგდებაა, — რთული ისეთის მოკვლაა, წრიულად რომ ფრენს.

— არც მეორე ხერხის ბოლომდე დაცვაა მიზანშეწონილი, რადგან ორი სვლით მთელ თამაშს ამოიცნობენ. ცბიერება გამუდმებით ფხიზლობს. იგი რომ გააცურო, დიდზე დიდი ხერხიანობაა საჭირო.

— სინამდვილე წარმოსახვას ვერ დაეწევა, რადგან სასურველის გამოსახვა უფრო იოლია, ვიდრე მიღწევა. ფანტაზიისა და სურვილის ქორწინებით რაღაც იმაზე დიდი იშვება, ვიდრე ცხოვრება ნებართვობს.

მოამზადა
**ნატა ზუევამ.**

სარედაქციო კოლეგია.

რედაქციის მისამართი: 380075, თბილისი მ. კოსტავას ქ. №77, ტელ: 36-66-70, სტუ ადმინისტრაციული შენობა III სართული.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## საინფორმაციო მოზაიკა
### BBC, CNN, საქინფორმი.

### ბარაკი შეთანხმებას ესწრაფვის



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ყველა დაინტერესებულ მხარეს მოუწოდა, ხელიდან არ გაუშვან შესაძლებლობა, რათა დადონ სამშვიდობო შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის თაობაზე 20 იანვრამდე — ბილ კლინტონის საპრეზიდენტო რწმუნებების ვადის გასვლამდე. ისრაელის პრემიერი დარწმუნებულია, რომ ასეთი სასიკეთო შესაძლებლობა უახლოეს ხანებში არ განმეორდება, თუმცა, ესმის, რომ მორიგებათა მიღწევა ნაკლებად სავარაუდოა. ეს განცხადება ბარაკმა გააკეთა რეგიონში აშშ საგანგებო დესპანის დენის როსის ჩასვლის წინ. სამშვიდობო მოლაპარაკების ირგვლივ ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბა წინა დღით, როდესაც ათასობით ისრაელმა იერუსალიმში საპროტესტო დემონსტრაცია გამართა ამერიკის წინადადებათა გამო, რომლებიც იერუსალიმისადმი სუვერენიტეტის ისრაელთა და პალესტინელთა შორის გაყოფას ეხებოდა.

### პუტინი აზერბაიჯანს ეწვია



ბაქოში პირველად ჩავიდა ორდღიან ვიზიტად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია პრეზიდენტ ალიევთან მოლაპარაკება, რომლის მთავარი თემაა სავაჭრო ურთიერთობა და რეგიონული სტაბილურობა. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობა და ნავთობის მარაგი განსაზღვრავენ მის მნიშვნელოვან როლს სტრატეგიულ რეგიონში. ხოლო ნავთობი ბაქოსა და მოსკოვის ურთიერთობის თავი და თავია. რუსეთის ნავთობის კომპანია ლუკოილი მზად არის, ხელი მოაწეროს შეთანხმებას აზერბაიჯანის სოკარ სახელმწიფო კორპორაციასთან 250 მილიონი დოლარის ოდენობით, რათა ერთობლივად დაამუშაონ აფშერონის ნავთობის საბადო, რომლის მარაგი მილიონ ტონად არის შეფასებული.

### ბუშს ადმინისტრაციასთან პრობლემები აქვს



ახლად არჩეული ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ცდილობს, მოაგვაროს უთანხმოებანი ახალ მთავრობაში ერთ-ერთი დანიშვნის გამო ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მოვალეობათა შესრულებას შეუდგებოდეს. ბუშმა დაამტკიცა ლინდა ჩავესის შრომის მინისტრად დანიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ პრესამ წამოატივტივა ცნობები, რომ 90-იანი წლების დამდეგს ჩავესმა თავისთან შეიფარა არალეგალი გვატემალელი იმიგრანტი ქალი. თავად ჩავესი ამტკიცებს, რომ ეს იყო გულმოწყალების აქტი და მასთან მცხოვრები ქალი სულაც არ იყო მოსამსახურე. ბი-ბი-სის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ლინდა ჩავესის დანიშვნა არც ამ სკანდალურ ამბამდე ეხატებოდათ გულზე: ახალი შრომის მინისტრი ცნობილია თავისი მემარჯვენული შეხედულებებით, კერძოდ, მკვეთრი გამოსვლებით მინიმალური ხელფასის გადიდების წინააღმდეგ.

### პინოჩეტის დაკითხვა გადაიდო

ჩილეს უზენაესმა სასამართლომ ერთი კვირით გადადო ყოფილი დიქტატორის აუგუსტო პინოჩეტის დაკითხვა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც გენერლის ადვოკატებმა აპელაცია შეიტანეს ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში. პინოჩეტი ჯიუტად ამბობს უარს, მივიდეს დაკითხვაზე, ხოლო მართლქომაგთა ორგანიზაციის აქტივისტები აკრიტიკებენ ჩილეს შეიარაღებულ ძალებს, რომ ისინი მალავენ ინფორმაციას იმ ასობით ჩილელი მოქალაქის ბედის შესახებ, რომლებიც უკვალოდ გაქრნენ პინოჩეტის მმართველობის დროს.




## დილას ოქრო ხარ, სტუმარო...

ავსტრალიის საიმიგრაციო დეპარტამენტი ეძებს ასზე მეტ კაცს, რომლებიც სამი თვის წინათ ჩავიდნენ სიდნეის ოლიმპიურ ასპარეზობაზე და ქვეყანაში დარჩნენ ვადაგადაცილებული ვიზებით. მათ შორის არიან სპორტსმენები, მწვრთნელები და ეროვნული სპორტკომიტეტების წარმომადგენლები. როგორც ავსტრალიის ხელისუფლებამ განაცხადეს, იმათ, ვინც ნებაყოფლობით მივა პოლიციაში, შეუძლიათ, უპრობლემოდ დატოვონ ქვეყანა. ხოლო იმათ, ვინც საძებრად გაიხდის თავს, მოეპყრობიან როგორც არალეგალ იმიგრანტებს. გარდა ამისა, ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდების 35 წევრმა ითხოვა ავსტრალიაში პოლიტიკური თავშესაფარი. მათ შორის არის ორი რუსი, ოთხი ქართველი სპორტსმენი და ერთი გაბონელი მოკრივე.

## დოკუმენტები ტიანანმენის მოვლენების შესახებ



ჩინეთის მთავრობამ მწვავე კრიტიკით უპასუხა შეერთებულ შტატებში იმ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომლებშიც, როგორც პუბლიკაციის ავტორები ამტკიცებენ, დაწვრილებით არის აღწერილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური ხელმძღვანელობის მოქმედება 1989 წელს პეკინის ტიანანმენის მოედანზე სტუდენტთა გამოსვლების ჩახშობის დროს. დოკუმენტების პუბლიკაციასთან დაკავშირებულ პირველ ოფიციალურ გამოხმაურებაში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მათ პრაქტიკულად სიყალბეს უწოდებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელისუფალთა მოქმედება აუცილებელი იყო ლამის მილიარდ-ნახევრიანი ქვეყნის სტაბილურობის შესანარჩუნებლად და რომ დეზინფორმაციისა და ფაქტების გაყალბების გზით ჩინეთის დისკრედიტაციის ყოველი ცდა ჩასაფუშად არის განწირული.

## გადამწყვეტი დღე

როგორც პრაღიდან იუწყებიან, სახელმწიფო ტელევიზიის მმართველთა საბჭო, ალბათ, არ დაითხოვს საზოგადოებრივი ტელევიზიის ახალ მეთა-



ურს ირჟი გოდაჩს მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა მისი მოხსნა მოუწოდა. გოდაჩის მოწინააღმდეგე ჟურნალისტებს უკვე ორი კვირაა, ოკუპირებული აქვთ ახალი ამბების განყოფილება. მათ გოდაჩის დანიშვნა პოლიტიკურად მოტივირებულად მიაჩნიათ. გაფიცულ ჟურნალისტებს მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა, აგრეთვე, ოპოზიციურმა მთავრობამ, რომლებიც თვლიან, რომ გოდაჩს მჭიდრო კავშირი აქვს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვაცლავ კლაუსის სამოქალაქო დემოკრატთა მემარჯვენე პარტიასთან. გოდაჩის დანიშვნას შედეგად მოჰყვა უდიდესი საპროტესტო დემონსტრაციები ჩეხეთში მას შემდეგ, რაც აქ დაემხო კომუნისტური რეჟიმი. დემონსტრაციის მონაწილენი ბრალად სდებენ პოლიტიკოსებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მანიპულირების ცდებს.



## ბჭობენ „ბალკანურ სინდრომზე“

ბრიუსელში ნატოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები ცალცალკე სხდომებზე განიხილავდნენ ეგრეთ წოდებული „ბალკანური სინდრომის“ პრობლემას. იგი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მწირურანიანი იარაღის გამოყენება დაუკავშირეს მშვიდობისმყოფელ სამხედრო მოსამსახურეთა კიბოთი დაავადებების ზრდას. ნატო, აშშ და ბრიტანეთი თვლიან, რომ ასეთი კავშირი არ არსებობს. ასეთივე აზრისანი არიან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები. მაგრამ პორტუგალიამ კოსოვოში მიავლინა სამი სპეციალური დესპანი, რომლებმაც ადგილზე უნდა შეისწავლონ ბალკანური სინდრომი. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა ასევე მხარი დაუჭირა ზოგიერთი ქვეყნის მოწოდებას, მოაწყონ შემოწმება, ვინაიდან კოსოვოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნამყოფი საერთაშორისო კონტინგენტის ზოგიერთ სამხედრო მოსამსახურეს სისხლის კიბო შეეყარა.

## ვალის დაბრუნებას რუსეთსაც სთხოვენ

კრედიტორი ქვეყნების პარიზის კლუბმა გააფრთხილა რუსეთი ვალის გასტუმრების აუცილებლობის თაობაზე. გაფრთხილება გამოქვეყნდა მოსკოვის იმ განცხადების შემდეგ, რომ რუსეთი გადადებს ვალის პირველი ტრანშის გადახდას. პარიზის კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ კრედიტორი ქვეყნები განიხილავენ ცალმხრივ გადაწყვეტილებას ვალის გასტუმრების შესახებ.

## ალჟირში რუსებს ხოცავენ



ალჟირში მოკლეს რუსეთის ოთხი მოქალაქე, ქიმიური კომპანიის თანამშრომლები. ალჟირის რადიოს ეს ინფორმაცია დაადასტურეს ქვეყნის უშიშროების სამსახურებმა. სპეციალისტთა გვამები და მათი მანქანა იპოვეს ალჟირის ჩრდილო-აღმოსავლეთში, საპორტო ქალაქის ანაბას მახლობლად მდებარე უედელ-ანემის ტყეში.

ალჟირის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინს გაუგზავნა დეპეშა და მიუსამძიმრა რუსეთის მოქალაქეების დაღუპვა.

რუსი ინჟინრები მუშაობდნენ ანაბის ფოსფატის სასუქების კომპანიაში, ქვეყნის დედაქალაქიდან 400 კილომეტრზე.

ალჟირის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, ორშაბათ დილით რუსეთის ანაბის საკონსულომ, რომელიც შეაშფოთა თავისი მოქალაქეების დაკარგვამ, ხელისუფალთ მიმართა დახმარებისათვის. ამის შემდეგ დაიწყო საძიებო ოპერაცია.

პოლიციის ცნობებით, ინჟინრები მოიტაცეს ტყეში, სადაც ისინი სოკოს საკრეფად გაემგზავრნენ. ორშაბათ საღამოს ოთხივე რუსი ყელგამოღადრული იპოვეს.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ეს ოთხი მოკლული გახდა მსხვერპლი ისლამისტი ექსტრემისტებისა, რომლებიც ათი წელიწადია, ფაქტობრივად, პარტიზანულ ომს ეწევიან მთავრობის ძალებთან.

მართლქომაგთა ორგანიზაციები ბრალს სდებენ უშიშროების სამსახურებსაც, რომ ისინიც თავად იტაცებენ, აწამებენ და ხოცავენ ადამიანებს, მერე კი ისლამისტ მოთარეშეებს აბრალებენ.

ამ ომს ალჟირში უკვე 100 ათასამდე კაცი ემსხვერპლა.

1992 წელს რადიკალურად განწყობილმა ისლამურმა დაჯგუფებებმა ომი გააჩაღეს ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც გაუქმდა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც, ყველა პროგნოზის მიხედვით, ისლამურ ხსნის ფრონტს უნდა გაემარჯვა.

ფუნდამენტალისტთა ხელით დაღუპულთა უმრავლესობას შეადგენენ ქვეყნის საერო ელიტის წარმომადგენლები, უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, მათი ოჯახის წევრები, უცხოელები.

მაგრამ 1996 წლიდან ისლამელი მოთარეშენი არ ერჩოდნენ უცხოელებს. 1996 წლის დამდეგს შეიარაღებული ისლამური ჯგუფის რადიკალურმა ორგანიზაციამ, რომელიც სიკვდილით იმუქრებოდა, მოითხოვა, რომ ყველა უცხოელს დაეტოვებინა ალჟირი. იმავე წელს ექსტრემისტებმა 8 ფრანგი კათოლიკე მღვდელი მოკლეს.

მას შემდეგ უცხოელთა რიცხვი ქვეყანაში გამუდმებით კლებულობს. სხვადასხვა შეფასებით, ალჟირში იმყოფება ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების წარმომადგენელი რამდენიმე ათასი სპეციალისტი.

ამასობაში კი, „უსაზღვრებო რეპორტიორთა“ საერთაშორისო ორგანიზაცია ალჟირში გზავნის დელეგაციას, რომელმაც უნდა გაარკვიოს 1994-1997 წლების მანძილზე ქვეყანაში დაკარგული ხუთი ჟურნალისტის ბედი.

„უსაზღვრებო რეპორტიორები“ აცხადებენ, რომ, მათს ხელთ არსებული საბუთებით, სამი ჟურნალისტი მოიტაცეს უშიშროების სამსახურებმა, და ორი — ისლამისტმა მოთარეშეებმა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

*არჩილ მანჯგალაძე, ლევან გოჩორიშვილი.*

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 1814/98, რომელიც ადასტურებს საკუთრების უფლებას სს „თბილღვინოს“ კუთვნილ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზირი № 2.

### ქ. თბილისის შპს „მონ ამის“ სალიკვიდაციო კომისიის განცხადება

შპს „მონ ამის“ პარტნიორთა კრებამ 2000 წლის 5 დეკემბერს გადაწყვიტა საზოგადოების ლიკვიდაცია.

ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ, გამოცხადდეთ შპს „მონ ამის“ სალიკვიდაციო კომისიაში.

მის: ქ. თბილისი, ხაზინიშვილის ქუჩა № 1.

### ძალოსნობა

## კახი კახიაშვილის სახელობისა

სახელოვანმა ქართველმა ძალოსანმა, რომელიც თითქმის რვა წელიწადია, საბერძნეთში ცხოვრობს და ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობს, სიდნეიში მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა. შარშან დეკემბერს იგი თბილისს ესტუმრა და საახალწლოდ ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე) მისი სახელობის პირველი ტურნირი გამართა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ასანიძე.

ეაკის ძალოსნობის სპეციალიზებული დარბაზის ფიცარნაგზე თბილისის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავის, ზუგდიდისა და სამტრედიის წარმომადგენლები გამოვიდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**55 კგ.** 1. **რაულ ცირეკიძე (ქუთაისი)**, 2. ზურაბ ჩხუბიანაშვილი (თბილისი), 3. ზაზა აბულაძე (ჩაქვი).

**62 კგ.** 1. **პაატა მოდებაძე**, 2. პაატა გეგეშიძე, 3. იაგო აბზიანიძე (სამივე — ქუთაისი).

**69 კგ.** 1. **მამუკა ბრეგვაძე (თბილისი)**, 2. ომარ კირვალიძე (რუსთავი), 3. ირაკლი ლომთაძე (ქუთაისი).

**77 კგ.** 1. **დავით პავლიაშვილი (თბილისი)**, 2. გელა სიხარულიძე (ქუთაისი), 3. თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი).

**85 კგ.** 1. **ბადრი კუპრაძე**, 2. პაატა გიორბელიძე (ორივე — ქუთაისი), 3. თემურ გოგია (ზუგდიდი).

**94 კგ.** 1. **გია სარავა (ქუთაისი)**, 2. გია რატიანი (რუსთავი), 3. გია მაჭავარიანი (თბილისი).

**105 კგ.** 1. **ზურაბ ავთანდილაშვილი (თბილისი)**, 2. ნუკრი ვამაკიძე (სამტრედია), 3. დავით ნარიმანიძე (თბილისი).

მძიმე წონაში მხოლოდ ერთი ძალოსანი — თბილისელი ალეკო ნოზაძე გამოდიოდა, და, ცხადია, პირველობაც მას ერგო.

გამარჯვებულები და პრიზიორები ფულადი პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. შეჯიბრების საზეიმო დახურვისას ითქვა, რომ ეს ტურნირი ტრადიციული გახდება.

**ვაჟა დანელია.**

### მინიფეხბურთი



## „საბურთალო“ სახელს ამართლებს

საფეხბურთო სპორტული კლუბი „საბურთალო“ (პრეზიდენტი გიგა არევაძე, საფეხბურთო სკოლის დირექტორი კახა ჭუმბურიძე) შარშან ოქტომბერში ჩამოყალიბდა. ამჟამად აქ ათობით მოზარდი ვარჯიშობს გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. საბურთალოელებმა უკვე შეჯიბრებებშიც გამოსცადეს თავი. ამას წინათ მათ სპორტის სასახლეში გამართულ ზაზა ბენდელიანის სახელობის ტურნირში იასპარეზეს, თანაც — ორი გუნდით. „საბურთალო-1“-მა (მწვრთნელები მალხაზ რაზმაძე და კობა მჟავანაძე) ფინალში 5:0 სძლია „შევარდენს“ და მთავარი პრიზი დაიმსახურა, მესამე ადგილზე „საბურთალო-2“ გავიდა.



**სურათებზე:** „საბურთალო-1“-ისა და „შევარდენის“ გუნდები ფინალური მატჩის შემდეგ; ნორჩების „დუელი“.

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

### გვეხმაურებიან

## მანდატები — გარიგებით?!

გავეცანით თქვენი გაზეთის 23 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „ნაბიჯი... უკან“, ასევე გაზეთ „არგოში“ (18 დეკემბერი, 2000 წ.) საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გურამ ჯოხაძის ინტერვიუს. ორივე მასალაში ობიექტურად არის აღწერილი, თუ როგორ უკანონოდ ჩაიარა საქართველოს ველოფედერაციის ყრილობამ. ამ ფორუმამდე (თუ მას შეიძლება ეწოდოს ფორუმი) ჰენრი პატარაიამ (იგი ამჟამად თურქმენისტანის რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენელია, უწინ მუშაობდა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს ველოსიპედისტთა ახალგაზრდული გუნდის მთავარ მწვრთნელად), რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ყრილობისთვის, თხოვნით მიმართა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომ განეხილათ დელეგატთა დამატებითი სია, რაც ყრილობამ უარყო, რადგან ბესიკ ნადირაძეს და რუსლან ჯაოშვილს ხელს არ აძლევდა. ძირითადად მანდატები გაიცა ამგვარი გარიგებით: „მანდატს მოგცემ, თუ ხმას მომცემ!“ ამიტომაც „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ სპორტის ოსტატები: ოთარ სუჯიაშვილი (ამჟამად ყაზბეგის რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი) და რომან კუპრეიშვილი, რომლებიც უწინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები იყვნენ, აგრეთვე, ამ წერილის ავტორები.



ვითხოვთ სიმართლის დადგენას.

**ეთერ ჭიჭინაძე**, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქვეყნის ნაკრების ყოფილი წევრი და რეკორდსმენი; **მზია ღიასამიძე**, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ინჟინერი; **ქეთევან თოფურიძე**, საქართველოს რეკორდსმენი, ბიოლოგი; **სერგო საკანელი**, სპორტის ოსტატი, მხატვარ-დიზაინერი; **ლილი ზანდუკელი**, საქართველოს ჩემპიონი, დამსახურებული პედაგოგი.

*რედაქციისაგან: „საქართველოს რესპუბლიკის“ 2000 წლის 23 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში („ნაბიჯი... უკან“) ველოსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკები გულისტკივილს ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ ველოფედერაციის ყრილობა არაობიექტურად გაიმართა და ზემდგომ ორგანოებს თხოვდნენ სიმართლის დადგენას. იმედს ვიტოვებდით, რომ ველოფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა დასაბუთებული პასუხით შეგვეხმიანებოდა, მაგრამ შევცდით. ამ დღეებში კი ყოფილ ველომრბოლთა კიდევ ერთი გულისტკივილით აღსავსე წერილი მივიღეთ. ველოფედერაციის ხელმძღვანელები რატომღაც კვლავ დუმილს ამჯობინებენ. ეტყობა, ისინი შინაგანად ეთანხმებიან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის შინაარს. დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია? მაშინ, სიტყვა იმ ორგანოებს ეკუთვნით, ვისაც ხელეწიფება სამართლიანობის აღდგენა.*

### ყოველი მხრიდან

### კრამნიკის გამარჯვებით

ბუდაპეშტში დამთავრდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკისა და ახალგაზრდა უნგრელი დიდოსტატის, პროფესიული რეიტინგით მეოთხე მოჭადრაკის პეტერ ლეკოს კომერციული მატჩი სწრაფ ჭადრაკში. მე-11 პარტიაში, მართალია, მსოფლიოს ჩემპიონი დიდხანს ფლობდა ინიციატივას, მაგრამ 31-ე სვლაზე მეტოქეები მაინც ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე „უსისხლოდ“ დამთავრდა ბოლო, მე-12 პარტიაც, რომელიც 34-ე სვლაზე შეწყდა პოზიციის სამჯერ გამეორების გამო.

ამრიგად, გაიმარჯვა რუსეთელმა დიდოსტატმა ანგარიშით 7:5.



### ახალი ლიდერი — მარსელო რიოსი

გამოქვეყნდა მსოფლიოს პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგი 9 იანვრისათვის.

მოგეხსენებათ, მამაკაცთა ჩოგბურთში ქულათა ორნაირი ათვლაა — ერთი, ახალი, მხოლოდ მიმდინარე სეზონში მოპოვებული წარმატების მიხედვით და ძველებური, 52-კვირიანი შედეგებით.

წლევანდელ ასპარეზობებზე თავი ისახელა ჩილელმა მარსელო რიოსმა. დოხაში



(კატარი) მიმდინარე ღია ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი მილიონი დოლარი იყო, მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ესპანელი ვისენტი, ბელორუსი ვოლჩკოვი და ბოლოს, ფინალში, ჩეხი ულირახი, რითაც მშვენიერი საქორწინო საჩუქარიც მოიმზადა (25 წლის ჩოგბურთელმა 26 დეკემბერს იქორწინა) და 50 ქულით მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის სათავეშიც მოექცა.

ძველებური, 52-კვირიანი ათვლით კი 4195 ქულით „ტახტზე მყარად ზის“ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი.

### სიცოცხლეშივე უკვდავყვეს

„ფერარის“ სპორტული დირექტორის ჟან ტოდტის სახელი სამუდამოდ უკვდავყვეს. მის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს ქუჩას მის მშობლიურ ქალაქში. ასე აღინიშნა ცნობილი იტალიური ავტოსაჯინიბოს წარმატებანი, რომელმაც გასულ სეზონში მოიგო ჩემპიონატიც და კონსტრუქტორთა თასიც.

ჟან ტოდტი 1946 წლის 26 თებერვალს დაიბადა საფრანგეთის ქალაქ პერფორმში, სადაც მისი მამა ექიმად მუშაობდა, ახლა ის ქუჩა, რომელზეც დაიბადა „წითელი კვიცების“ ტრიუმფატორი, მისი სახელობის გახდა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ასე აღინიშნა სახელოვანი ავტოპილოტის, სამგზის მსოფლიო ჩემპიონის მიხაელ შუმახერის დამსახურება. ქალაქს, სადაც იგი დაიბადა, „ფერარის“ პირველი მრბოლელის სახელი ეწოდა.



### პირველი მსხვერპლი




აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობის გამო ძალზე სახიფათო გამოდგა ტრადიციული სუპერმარათონი პარიზი — დაკარი.

საბედნიეროდ, სიკვდილს გადაურჩა პორტუგალიელი მძღოლი ხოსე ედუარდო რიბეირო. ის ტექნიკური მანქანით მიდიოდა და ნაღმზე აფეთქდა. პორტუგალიელი სასწრაფოდ გადაიყვანეს ჰოსპიტალში. სასწრაფო ოპერაციის დროს ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს მისი სიცოცხლის გადასარჩენად, თუმცა მარცხენა ფეხი მაინც მოკვეთეს.

აფეთქება რალის მერვე ეტაპზე მოხდა, მარშრუტზე დასავლეთი საჰარა — მავრიტანია. რიბეიროს მანქანა კურსს ასცდა და ეგრეთ წოდებულ „ქვიშის კედელთან“ აღმოჩნდა, რომელიც მაროკოს არმიამ ააგო როგორც საზღვარი, რათა თავიდან აეცილებინათ აჯანყებულთა ჯგუფის, „პოლისარიოს ფრონტის“ თავდასხმა.

რალის სწორედ ეს უბანი ითვლება ყველაზე სახიფათოდ, რადგან დასავლეთ საჰარაში, ესპანეთის ყოფილ კოლონიაში, 100 ათასზე მეტი ნაღმი დარჩა 1975-1991 წლის მაროკოს არმიისა და აჯანყებულთა ბრძოლების შემდეგ.

როგორც რალის დირექტორმა ჰუბერტ ორიოლმა განაცხადა, რეისის ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს ხიფათის თავიდან ასაცილებლად. თუ რატომ აებნა გზა პორტუგალიელ მძღოლს, ჩემთვის გაუგებარიაო.

საშიშროება ამ მარშრუტზე იმითაც მძაფრდება, რომ „პოლისარიოს ფრონტის“ წარმომადგენლები ტერორისტული აქციებით იმუქრებიან, როგორც კი რალი დასავლეთ საჰარას მიაღწევს. მაროკოს ხელისუფლება კი აცხადებს, რომ არ დაუშვებს ამ დიდი რბოლის ჩამლას.

**სპორტის რედაქცია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა №7. ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2001 წელი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



პეტერბურგის ილია რეპინის სახელობის სასწავლებლის სტუდენტი სიკო ხომასურიძე.
პეტერბურგი, 1898 წელი.
სურათი მოგვაწოდა შვილიშვილმა ჯუმბერ ხომასურიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## მადლი

### ზრუნავენ ზრუნვას მოკლებულ ბავშვებზე

თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მაკნატუნა“ ერთნაირად ხიბლავს ბავშვებსაც და დიდებსაც. ამ დღეებში მას ორჯერ წარმოადგენენ და ძირითადი მაყურებელი ზრუნვას მოკლებული და უპატრონო ბავშვები იქნებიან. ორი სპექტაკლის ფული თეატრს გადაურიცხეს სატელევიზიო შოუს „ვის უნდა 20 ათასის“ მონაწილე პარლამენტარებმა.

საქინფორმი.

## ღიმილის დოზა



მგზავრი თვითმფრინავის ილუმინატორში გაიხედავს და, საოცრად შეშფოთებული, სტიუარდესას მოუხმობს:

— მითხარით, გეთაყვა, რატომ მივფრინავთ სხვა მიმართულებით? ჩვენს ქვემოთ თოვლია, ტაიგა, წესით კი ჰავაის კუნძულები უნდა იყოს, პალმები, პლაჟები, ფირუზისფერი ზღვა...

— ნუ ღელავთ, ნუ ღელავთ! ჩვენს ქვემოთ მართლაც ჰავაის კუნძულებია. ხოლო რასაც თქვენ ხედავთ, ეს არის — ახალი რუსები ახალ წელს ზეიმობენ.

* * *

პაპუა-ახალი გვინეის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელი ბრაზილიის ნაკრების თავის კოლეგას ეწვევა:

— მეგობარო, შენი ფეხბურთელები ყველაფერს, რისი მოგებაც შეიძლება, იგებენ. მითხარი, რა საიდუმლო გაქვთ ასეთი?

— არაფერი განსაკუთრებული. ყველა საწვრთნელი თამაშის დროს მოედნის ერთ ნახევარზე ვდგამ 11 კასრს და ვაიძულებ ჩემს ფეხბურთელებს მათ წინააღმდეგ ითამაშონ ორი სრული ტაიმი, 45-45 წუთი. ფეხბურთელები იგებენ, ამით საკუთარ ძალასა და შესაძლებლობაში რწმუნდებიან და ეს რწმენა გვიადვილებს გამარჯვებას ოფიციალურ მატჩებში.

გადის ერთი თვე. მწვრთნელები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, და ბრაზილიელი პაპუა-ახალი გვინეის მწვრთნელს ეკითხება:

— როგორ მიდის საქმე?
— ძალიან ცუდად...
— ისე გააკეთე, მე რომ გირჩიე?
— ზუსტად ისე.
— და რა მოხდა?
— მოხდა ის, რომ კასრებმა მოგვიგეს.

* * *

ერთხელ გავსინჯე და ახლაც ვმკურნალობ.

* * *

დაიკარგა შავი დიპლომატი. მნახველს ვთხოვთ ნიგერიის საელჩოს ჩააბაროს.

## ლაურეატები



### წარმატების ჩვეული და უჩვეულო დეტალები

ბოლო წლებში საკმაოდ იმატა საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების რაოდენობამ. მათში, სხვებთან ერთად, სხვადასხვა პროფილის ქართველი მუსიკოსებიც მონაწილეობენ, სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლები. კარგა ხანია შევეჩვიეთ, რომ ბევრი მათგანი ლაურეატის თუ არა, დიპლომანტის წოდებით მაინც ბრუნდება სამშობლოში, ასახელებს რა, ასეთი წარმატებით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ საკუთარ ქვეყანასაც.

ამჯერად, სამი ახალგაზრდა ქართველი პიანისტის „მორიგი“ საერთაშორისო წარმატება, ფართო მასშტაბით, გლობალური თვალსაწიერიდან, სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, რამდენიმე „უჩვეულო დეტალმაც“ მიიპყრო ყურადღება. მამ ასე:

გასული წლის დეკემბერში, ანუ წინა საუკუნეში, რომლისგანაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღე გვაშორებს, საბერძნეთის ქალაქ მარკოპოლოში მეექვსედ გაიმართა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ მუსიკოსები რუსეთიდან, უკრაინიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან, აშშ-დან, ლიტვიდან, უზბეკეთიდან, იაპონიიდან და საქართველოდან. სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილთა ხელოვნებას, ასევე მრავალეროვანი ჟიური აფასებდა და „ვერდიქტიც“ გამოჰქონდა ემანუილ კრასოვსკის (ისრაელი) თავმჯდომარეობით და სწორედ ამ ცხრაწევრიანი ჟიურის გადაწყვეტილებით სამი ქართველი მოზარდი სამშობლოში ლაურეატის წოდებით დაბრუნდა — ეს მათი ბოლო გამარჯვება იყო, უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ მეოცე საუკუნეში, და ალბათ, იმავდროულად, მომავალი წარმატებების საწინდარიც.

ზემოთ აღვნიშნე, ქართველთა გალაურეატება, ფართო მასშტაბით, გლობალურად, ჩვეულებრივი ამბავი არის-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რამხელა სიხარულს განიცდიდნენ თამარ კვარაცხელია, თენგიზ ნოზაძე და ნატო ტორონჯაძე, როდესაც მათი სახელები, უკვე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდებით შემკობილი გაისმა საბერძნეთში ფართო აუდიტორიის წინაშე?! ეს ხომ მართლაც განუზომელი სიხარულის განცდაა.

თამარ კვარაცხელიამ, მეხუთე კლასის მოსწავლემ, კონკურსის A კატეგორიაში (10-13 წლის ასაკი) სოლო პროგრამის შესრულებისთვის (ბახის ინვენცია, ჩერნის ეტიუდი, შუმანის „არაბესკები“ და ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგია“), მესამე პრემია მოიპოვა, ხოლო E კატეგორიაში (ანსამბლები ოთხ ხელში) საუკეთესო აღმოჩნდა თენგიზ ნოზაძისა და ნატო ტორონჯაძის დუეტი, რომელთაც დაუკრეს მოცარტის სონატა, ბახის სარაბანდა ვარიაციებით, გლინკას ვალსი და ოთარ თაქთაქიშვილის „მთაში“.

ახლა კი, იმ „უჩვეულო დეტალებზე“ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას, ზემოთ რომ მივანიშნე. სამივე მოზარდი თბილისის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლა-კოლეჯის აღსაზრდელია (დირექტორი თამაზ ანდღულაძე). უფრო მეტიც, — სამივეს ერთი პედაგოგი ჰყავს ფორტეპიანოში — ირმა რუხაძე. ახალგაზრდათა წარმატებისას ხშირად გაიგონებთ ხოლმე, ნიჭიერია და წარმატებაც ბუნებრივი შედეგია ნიჭიერებისა და მუყაითობისო, წარუმატებლობას კი, ასევე ხშირად, მასწავლებლებს „გადააბრალებენ“ ხოლმე. და მაინც, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ სწორედ წარმატებაში ლომის წილი, უწინარესად, აღმზრდელს მიუძღვის, — მუსიკალურ ხელოვნებაში მიღწეული წარმატება ხომ უდიდესი შრომის ნაყოფია (რასაკვირველია, ნიჭთან შერწყმის შემთხვევაში). და თუ ეს მოსაზრება მართებულია, მაშინ ირმა რუხაძესაც უნდა მივულოცოთ გამარჯვება, — მან ხომ ერთდროულად სამი ლაურეატით გაგვამდიდრა და ალბათ, მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს.

კიდევ ერთი „უჩვეულო დეტალი“, — თუმცა სრულიად ბუნებრივი და საფუძვლიანი: კონკურსის უცხოელი მონაწილეებიც, მათი აღმზრდელებიც, ჟიურის წევრებიც, ორგანიზატორებიც, და საერთოდ, დამსწრე მუსიკალური საზოგადოება მოუხიბლავს იმ ქართულ თხზულებებს, რომლებიც ქართველმა კონკურსანტებმა შეასრულეს. განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებია ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგიას“. ჩვენებს ადგილზევე გადაუღიათ ამ ნაწარმოების ქსეროასლები და ყველა მსურველისთვის დაურიგებიათ. მრავალ მათგანს გასჩენია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების უფრო ახლოს გაცნობისა და საკუთარ რეპერტუარში დამკვიდრების სურვილი. ასეთი სურვილი კი, ალბათ, კონკრეტული ნაბიჯების საწინდარია.

ყოველივე ეს, ანუ, „ჩვეულებრივი“ და „უჩვეულო“ დეტალების ერთიანობა, ვფიქრობ, ქმნის იმის საფუძველს, რომ არა მხოლოდ წარმატება მივულოცოთ ირმა რუხაძესა და მის ხელდასხმულ ლაურეატებს — თამარ კვარაცხელიას, თენგიზ ნოზაძესა და ნატო ტორონჯაძეს, არამედ მადლობაც ვუთხრათ, თუნდაც, ქართული მუსიკის პოპულარიზაციასა და პროპაგანდაში შეტანილი წვლილისათვის და ახალი მწვერვალების დაპყრობა ვუსურვოთ.

ზურაბ ოიკაშვილი.


## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

### მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)

10 იანვარი, 2001 წ.

### ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩის გზის საფარის რეკონსტრუქცია

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისის ნუცუბიძის ქუჩის გზის საფარის სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს ნუცუბიძის ქუჩაზე (ბუდაპეშტის ქუჩიდან საბაგირომდე, საერთო სიგრძით დაახლოებით 1260 მ) ასფალტობეტონის საფარის მოწყობის, ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე და სხვა დანიშნულების ჭების აწევას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № TBILISI/NCB-010/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე, დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ, შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 100 ლარის გადახდისას. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 120 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა თან ახლდეს წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია 12.000 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, არაუგვიანეს 2001 წლის 13 თებერვლის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.


## მიძღვნა

### სამთავროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი

**უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს**

საყდარ ღვთისაო, სამებისაო,
ათონის ივერთ მონასტრისაო,
„მაყვალ შეუწველ“ მაცხოვრისაო,
თანა მოსაყდრე მეუფისაო.
ანდამატივით მოელვარეო,
ვარშამანგოო ნარინჯიანო,
რქაო ვაზისა ვენახისაო,
ოქროქსოვილო კვართო ღვთისაო.
სიონის მთაო ყოვლადწმიდაო,
ივერთა მზეო, ქართველთ ლხენაო,
ვენახო, მარად მსხმოიარეო,
ემბაზ წყაროო სულთა ჩვენთაო.
რაბამ ქალწულო, ყოვლადუხრწნელო,
ირისულაო სამოთხისაო,
იავნანა სძით მაწოვნებელო,
საღმრთო ბაგეო, საფსალმუნეო.
ყოვლადუბიწო, ღვთისა აკანო,
ორღანო ტკბილო, ღვთივსულიერო,
ვარდო მეწამულ, პორფიროვანო,
ლარნაკო, ჭურჭელ პატიოსანო.
აღუზავებელ, სიმდაბლით მხედველ,
დამბადებლისა ღვთისა მშობელო,
წილხდომ მამულში ხატად მოსრულო,
მარიამ წმიდად სახელდებულო.
იოხდ შვილთათვის, წყევის დამხსნელო,
დედავ ნეტარო, მარად ქალწულო,
ანგელოზთმთავართ უზესთაესო,
ღმერთის წიაღში დამტევნებელო.
„ვერვინა გჯობს“-ო, ღვთივშვენიერო,
თვალმარგალიტო, ცისკრის მთიებო,
იესო ტკბილის, ქრისტეს მშობელო,
სასო სოფლისა, მაცხოვნებელო.
მოძღვარ ნინოს, ქართლის დედაო,
მარავანდედო ღვთივბრწყინვალეო,
ო, შვენიერო, ცა ცისიერო,
ბაზმაკო ნათელ ცისკროვანქმნილო.
ემმანუილის ღვთისა სიტყვაო,
ლიმენავ, მყუდრო ნავთსაყუდელო,
ივერიისა სძალო უსძლოო.

ქეთევანი, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია. 1984 წ.

## ტელევიზია — ოთხშაბათი, 10 იანვარი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.45, 20.45 სერიალი "ქამელეონი" 10.20 "100 გრადუსი" 11.00 გლობუსი 11.30 საახალწლო შეხვედრები 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ფორტუნა 13.00 ნაშუადღევს 14.00 დიდების ზღაპარი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. "პატარა" 17.00 50-50 17.50 მუს. პაუზა 18.00 ვესტნიკი 18.15 სახელად საქართველო 18.40 ნუგზარ ერგემლიძე 19.10, 02.15 ვიდეოპატრული-02 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 მაესტრო 22.20 საქმე 22.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.50 ჯეოპოპი 00.25 მხ.ფ. "პარი, მეგობარი, რომელსაც თქვენთვის სიკეთე სურს"

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 20.30 სკოლა 21.00 მრავალთათვის საკეთილო 21.30 ოპტიმისტები 22.00 ინფორმაცია 22.15 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 22.45 მხ.ფ. "განგაში"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, პაპირუსის თავგადასავალი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "შტრაუსების დინასტია" 10.40 სერიალი "ჯუნგლების წიგნი" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი "კონკია" 13.30 მხ. ფილმი "ზაზუნას დღე" 15.15 მხ.ფ. "შეაწიეთ სიტყვა საწყალ ჰუსარს" 16.50 მხ.ფ. "პრინცესა საცოლე" 18.00, 21.00, 23.00, 02.35 კურიერი 18.20 სერიალი "ჯუნგლების წიგნი" 18.50 სერიალი "ჰერაკლე" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "შიში და სიყვარული". რეჟ. მარგარეტ ფონ ტროტა. მთ. როლებში ფალი არდანი, გრეტა სკაკი. 02.45 კლასიკა

იბერია

20.00 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 20.10 ალსავალი 20.15 მხ.ფ. "გზა შინისაკენ" 21.40 მუს. ტალღა 22.00 მხ.ფ. "სექტემბერი"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.45 მხ.ფ "ბანკოკ ჰილტონი" 1 ნაწილი 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45 მხ.ფ. "სისხლიანი ქორწილი" 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 18.30 მხ.ფ. "შაბათი, კვირა, პარასკევი" 20.00 "თინეიჯერი" 21.30 თეატრალური შეხვედრები 23.00 მხ.ფ. "ბანკოკ ჰილტონი" 2 ნაწილი

08.00 "ბისი". მხ.ფ. "ცხოვრება მშვენიერია" 09.55, 17.45, 19.25, 21.40, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.30 მულტფილმები 18.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ვარსკვლავი". მთ. როლში მოლი შენონი 19.40 პროგრამა "F" მხ.ფილმი "სამხედრო ხელოვნება" მთ. როლში უესლი სნაიპსი 21.55 "ბრავო" მხ.ფ. "სელენა" მთ. როლში ჯენიფერ ლოპესი 00.15 "ღამურა" მხ.ფ. "ორი ჯეიკი" 02.25 ნონ-სტოპი

09.00 ქართული მუსიკა 09.15, 18.15 მულტფილმი "ქვეყანა ოზის ჯადოქარი" 09.40 მხ.ფ. "ტუტსი" 11.30 ევროპის სტადიონებზე 11.55 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი შიგნიდან" 12.45, 16.05, 21.50, 23.45, 01.50 მუსიკა 13.00 მხ. ფილმი "ამოსვირინგებული" 16.35 მხ.ფ. "ნინძა ბევერლი ჰილზიდან" 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.05 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი შიგნიდან" 22.00 მხ. ფილმი "გაიცანით ჯოლი საარკსი" მთ. როლებში რობინ უილიამსი, მეთ დეიმონი 00.15 მხ. ფილმი "ალყაშემორტყმულები" რეჟ. ბერნანდო ბერტოლუჩი

19.00 "დღეს" 19.20 მულტფილმები 20.00 ქართ. მხ.ფ. "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" 21.35 დოკ. ფილმი 22.00 "დღეს" 22.40 მხ.ფ. "ქარიშხალი" 01.30 მხ.ფ. "28 დღე"

## ხსოვნა

### გივი სურამლიშვილი



ჩვენს რიგებს გამოაკლდა ჩინებული სპეციალისტი, უანგარო მეგობარი, შესანიშნავი მოქალაქე, ცნობილი ქართველი ფიზიკოსი — თეორეტიკოსი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **გივი სურამლიშვილი.**

დაიბადა 1937 წელს ყვარელში. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ი. კურჩატოვის ატომური ენერგიის ინსტიტუტში ასპირანტად. მან ინტენსიური მუშაობა დაიწყო იმ დროისთვის ფიზიკის ახლად ჩამოყალიბებულ დარგში — პლაზმის ფიზიკაში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო დახურულ ობიექტზე — პირველ საბჭოთა ატომურ ელექტროსადგურზე.

1965 წლიდან გ. სურამლიშვილმა თავისი მოღვაწეობა სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. მუშაობდა ჯერ კიბერნეტიკის ინსტიტუტში, შემდეგ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონში“ და ბოლოს, 1973 წლიდან უკანასკნელ დღემდე ფიზიკის ინსტიტუტში. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. 1966 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, 1986 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია.

გ. სურამლიშვილი ასამდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი შრომები ეხება პლაზმის ფიზიკასა და, ზოგადად, თეორიული ფიზიკის ფართო სპექტრს. მან ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა პლაზმაში ტალღების დაშლითი არამდგრადობისა და, საერთოდ, მრავალტალღოვანი მოვლენების ფენომენი.

წლების განმავლობაში იყო რამდენიმე საკვალიფიკაციოსადისერტაციო საბჭოს წევრი, ხოლო სიცოცხლის ბოლომდე — ფიზიკის ინსტიტუტის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

გ. სურამლიშვილი ითვლებოდა პლაზმის ფიზიკის და, საერთოდ, თეორიული ფიზიკის ერთ-ერთ ცნობილ და წამყვან სპეციალისტად ყოფილ საბჭოთა კავშირში. მისი სამეცნიერო შედეგები ფართოდაა ცნობილი პროფესიონალებისათვის და აღიარებულია საზღვარგარეთელი მეცნიერების მიერ.

ღვაწლმოსილ მეცნიერს, კეთილ ადამიანს და შესანიშნავ მოქალაქეს გივი სურამლიშვილს არ დაივიწყებენ მისი აღზრდილები, კოლეგები და მეგობრები.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.**

ბონდო მძინარაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს „დილის გაზეთის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს ელზა ნაბახტეველს დედის
მარიამ (მარგალიტა) სოლოღაშვილი-ნაბახტეველის
გარდაცვალების გამო.

---

დები მარიამი, ნინო, ძმები ნიკოლოზ, ალიოშა, შალვა ოჯახებით, შვილები ელიზო, მარიჯანი, ივანე, რძალი მზია ნიშნიანიძე, სიძეები ოლეგ ლურსმანაშვილი, ბეჟან გოგოჭური, შვილიშვილები გიორგი, ეკა, მაკა, თამუნა, თეონა, მაია, მამუკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, ფიზიკა-მათემატიკის ღვაწლმოსილი მასწავლებელი
არჩილ ვარდენის ძე მუმლაძე
დაკრძალვა 11 იანვარს, საჩხერის რაიონის სოფელ სარეკში.

---

ნუგზარ გაბრიჩიძე, აკაკი დაუთაშვილი, რამაზ ქლენტი ოჯახებით თანაუგრძნობენ მელორ ტყეშელაშვილს დედის
ქეთევან ძაგნიძე-ტყეშელაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს შსს შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა სამძიმარს უცხადებს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ ლექსო მიქავას სიმამრის
ბერსონ თაფლიაშვილის
გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### დიმიტრი ოხანაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **დიმიტრი ოხანაშვილი.**

დ. ოხანაშვილი დაიბადა 1923 წელს ქ. თბილისში, 1937-1942 წლებში მუშაობდა თბილისის ორთქლმავალ და ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ხარატად. 1942-1943 წლებში მონაწილეობდა სამამულო ომში და მძიმედ დაიჭრა. 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი, ხოლო 1955 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1955 წლიდან 1978 წლამდე იგი მუშაობდა ელექტრული ტრანსპორტის კათედრაზე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1975-1978 წლებში იყო სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1978-1980 წლებში მუშაობდა თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის დირექტორად, ხოლო 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სტუ-ს ელექტრული ტრანსპორტის კათედრაზე.

დ. ოხანაშვილი იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ღრმად განსწავლული და ერუდირებული მეცნიერი, იგი ორმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, დ. ოხანაშვილი სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით და პატივისცემით კოლეგებსა და სტუდენტებს შორის. ომისა და შრომის ვეტერანს მინიჭებული ჰქონდა მრავალი სამთავრობო ჯილდო.

ნათელი იყოს თქვენი ხსოვნა, ბატონო დიმიტრი.

**სტუ-ს რექტორატი, სატრანსპორტო ფაკულტეტი, ელექტრონული ტრანსპორტის კათედრა.**

### ომარ ელიზბარაშვილი



ბედი ადამიანისა მართლაც ამოუცნობია. 7 დღის წინ ახალი საუკუნის დადგომას შეეგებე.

ახლა კი სამუდამო სასუფევლისკენ გაგაცილებენ ოჯახის წევრები, ახლობლები, ნათესავები, თანამშრომლები. არადა, სულ ახლახან, 2 იანვარს შეგისრულდა 54 წელი. ვაგლახ, ცრემლი და მწუხარება მოჰყვა შენი დაბადების დღის აღნიშვნას და ახალი წლის დადგომასაც შენი ახლობლებისათვის.

დაგვემწუხრე ჩვენც, შენი კოლეგები, ბატონო ომარ. კაცურად იღვაწე და იმიტომ დაგვემწუხრა შენმა უდროოდ წასვლამ.

ჯარგამოვლილი, ინსტიტუტდამთავრებული 23 წლის ჭაბუკი მოხვედი სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოებში და, რაც ნიშანდობლივია, სიკვდილამდე შენს მშობლიურ რაიონს, სიღნაღს ემსახურე, საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორიდან ქვეგანყოფილების უფროსამდე. შენი უმწიკვლო მუშაობის დასტურია მრავალი ჯილდო, მადლობები და პოლიციის მაიორის წოდებაც.

ნათელში ყოფილიყოს შენი სული მუდამ, ომარ ელიზბარაშვილო.

**საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო.**

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „საქართველოს რეგიონები-მაჟორიტარების“ წევრები და აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს მელორ ტყეშელაშვილს გარდაეცვალა დედა
ქეთევან ძაგნიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

იმერეთში საქართველოს კონტროლის პალატის ბიურო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის კონტროლის პალატის მრჩეველი
ალექსანდრე (ალეკო) სოლტიში
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ ზოზიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS–98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.